ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 31 მარტი, 2021 №53 (8582) ფასი: 60 თეთრი

რუსუდან კერვალიშვილმა საპატიმრო დატოვა

ადვოკატი ბასილაია: „მაია რჩეულიშვილის ციხიდან გამოშვებას წინ არაფერი უდგას“

გვ.5

გვ.5

მეან-გინეკოლოგ ი.მ.-ს 8 წლის შემდეგ 1,5 წელი მიუსაჯეს

დანიელსონი: „კომპრომისი ხელისუფლებას მოეთხოვება“

გვ.2

„ოცნების“ და ოპოზიციის მოლაპარაკება ისევ უშედეგოდ დასრულდა

მედიატორების დოკუმენტი არც ერთმა პარტიამ არ მიიღო

„ნიკა მელია გავრილოვს გირაოს არ გადაუხდის“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ოცნების“ პროვოკაციას არ წამოვეგებით“

„9 წლის განმავლობაში ლარი სულ უფასურდება“

გვ.3

პაატა შეშელიძე: „ხელისუფლების პოლიტიკაა დაზაფრე და იბატონე“

„პარლამენტის ბოიკოტი ოპოზიციის შეცდომა იყო“

გვ.2

დავით დარჩიაშვილი: „მას იმ ოლქების გაუქმება უნდა მოეთხოვა, სადაც ბევრი დარღვევა იყო“

„ქართული ოცნება“ 2024 წლამდე ვერ მიაღწევს“

გვ.4

გიგა ბუკია: „ოპოზიცია რომ შესულიყო პარლამენტში, მიეღო მონაწილეობა არჩევნების გაყალბების საკითხის შემსწავლელი კომისიის მუშაობაში, ეაქტიურა, შეიძლება უმრავლესობა აქამდე დაშლილიყო“

ISSN 1987-9385

4 თენგიზ დიხამინჯია: „გახარიამ 20 ივნისის დამნაშავეები უნდა დაასახელოს“

5 საბერძნეთში ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტს ქურდებმა სცემეს

5 „ნელი დოროყაშვილს სხეულზე კანი ჰქონდა აქერცლილი“ რა ჩვენება მისცა სასამართლოს სასწრაფოს ექიმმა

6 ესპანეთში პირბადე ღია სივრცეში ყველგან სავალდებულო ხდება

დანიელსონი: „კომპრომისი ხელისუფლებას მოეთხოვება“

„ოცნების“ და ოპოზიციის მოლაპარაკება ისევ უშედეგოდ დასრულდა

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის სპეციალური წარმომადგენლის კრისტიან დანიელსონის მედიატორობით ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის შეხვედრა გუშინ, 30 მარტს, გვიან ღამით დასრულდა.

ამის შემდეგ მედიის წინაშე განცხადება კრისტიან დანიელსონმა გააკეთა.

მისი თქმით, მედიატორების მიერ მომზადებული დოკუმენტი არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ მიიღო.

– დღეს მე დავასრულე მეორე მედიაციის მისია საქართველოში, როგორც პრეზიდენტ მიშელის პირადმა წარმომადგენელმა. არსებობს გადაწყვეტა ამ კრიზისის. ეს არის ის გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს ძალიან მნიშვნელოვან საარჩევნო და მართლმსაჯულების სისტემებს, ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს ძალაუფლების გადანაწილებას განსაკუთრებით პარლამენტში და ასევე გადაწყვეტილება, რომელიც დაასრულებდა გაგრძელებულ დებატებს პოლიტიზირებულ სასამართლო საქმეებსა და ადრეულ არჩევნებზე და ეს არის ის გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს პოლიტიკურ გამბედაობას და მე წარმოვადგინე ასეთი წინადადება და ის იქნება საჯარო დოკუმენტი ახლა.

ეს არის ის გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყნის ინტერესებს აყენებს ყველა სხვა საკითხზე მაღლა და სამწუხაროა, რომ არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ეს გადაწყვეტილება არ მიიღო, – განაცხადა კრისტიან დანიელსონმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ კომპრომისი არის სიძლიერე და არა სისუსტე. ევროპულ მისწრაფებებს სჭირდება კომპრომისები, განსაკუთრებით იმ პარტიისგან, რომელიც ხელისუფლებაშია.

დანიელსონის თქმით, არ ყოფილა მზაობა იმისა, რომ კომპრომისი მიღწეულიყო.

– საბოლოო ჯამში, საქართველოს დასავლელი პარტნიორები არ არიან აქ იმისთვის, რომ პარტიებს თავს მოახვიონ გადაწყვეტილებები. ეს არ არის მეთოდები, რომელთაც ევროკავშირი იყენებს. ჩვენი მეთოდი არის მედიაცია და საქართველოს ლიდერები უნდა წავიდნენ კომპრომისებზე და გაუმკლავდნენ ამ გამოწვევებს.

როგორც უკვე ვთქვი, კომპრომისი არის სიძლიერე და არა სისუსტე. ევროპულ მისწრაფებებს სჭირდება კომპრომისები, განსაკუთრებით იმ პარტიისგან, რომელიც ხელისუფლებაშია იმისთვის, რომ ქვეყანა გამოიყვანოს კრიზისიდან.

რა თქმა უნდა, ძალიან მაღალ ამბიციებთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობა მოდის.

სამწუხაროდ, მაგიდასთან დღეს არ ყოფილა მზაობა, რომ მიღწეულიყო კომპრომისი. მე ახლა მოვახსენებ პრეზიდენტ მიშელს, თუ რა ხდებოდა ამ კვირის განმავლობაში და იგი გადაწყვეტს, თუ რა იქნება შემდეგი ნაბიჯები და როდის იქნება ისინი გადადგმული, – განაცხადა დანიელსონმა.

„პარლამენტის ბოიკოტი ოპოზიციის შეცდომა იყო“

დავით დარჩიაშვილი: „მას იმ ოლქების გაუქმება უნდა მოეთხოვა, სადაც ბევრი დარღვევა იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

დაუშვა თუ არა ოპოზიციამ შეცდომა, როდესაც რადიკალური გზა აირჩია და პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა? ხომ არ ჩნდება მისი მარგინალიზაციის რისკი? რას ფიქრობს გიორგი გახარიასა და კახა კალაძის პოლიტიკურ მომავალზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **დავით დარჩიაშვილი** საუბრობს.

დავით დარჩიაშვილი: თუ არ მოხდა შეთანხმება, გაგრძელდება კონფრონტაცია და საქართველო დარჩება სამოქალაქო ომის ზღვარზე. ასე დგას საქმე. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ასეა ჩამოყალიბებული და ამ მოჯადოებული წრიდან ვერ გავდივართ. ეს შეთანხმება შეიძლებოდა, რომ პირველი ნაბიჯი ყოფილიყო ბევრად უფრო ცივილიზებულ ნაბიჯებზე გადასასვლელად. ახლა კი ეს ნაბიჯი არ გადაიდგა და სარისკო ვითარებაში ვართ.

„გახარიას მაკო გომურის თვალზე და ია კერზაიას საქმეზე მკაფიო პასუხები აქვს გასაცემი“

– გქონდათ მოლოდინი, რომ ხელისუფლება ამჯერად მაინც წავიდოდა მნიშვნელოვან დათმობებზე?

– შინაგანი ძალები ანუ მათი მსოფლმხედველობა ამის მოლოდინს არ მიტოვებდა. ეს არ არის ივანიშვილის სტილი. მას ისეთი სკოლა აქვს გავლილი რუსეთში, სადაც ითვლება, რომ შეთანხმება და კომპრომისი სისუსტის ნიშანია და ეს არ უნდა დაუშვა. ასეთია ივანიშვილი, ამიტომ ამის იმედი არ მქონდა, მაგრამ კრიმინალურ მენტალიტეტს ასევე ახასიათებს პრაგმატიზმი და „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“ ლოგიკა.

ანუ ვერ ვიტყვით, რომ მთავრობას ოპოზიციის ეშინია, მაგრამ თუ დასავლეთის პოზიციები მკაფიოა მათთვის და დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭება აშინებდათ, მაშინ შეიძლება ეს კომპრომისი შედგეს.

– თავად ოპოზიციამაც ხომ არ დაუშვა თავის დროზე შეცდომა, როდესაც ასეთი რადიკალური გზა აირჩია – ბოიკოტის გზა, რაც დასავლეთში ბევრს არ ესმის?

– არავინ არ არის სრულყოფილი საქართველოში. ალბათ იცით, რომ მე აღარ ვარ არც ერთ პარტიაში, ამიტომ შემიძლია საკუთარი სახელით ვილაპარაკო. მეც მიმაჩნდა, რომ 31 ოქტომბერს, როდესაც შედეგები დაიდო და მეორე დღეს პარტიები შეთანხმდნენ, რომ შედეგებს არ აღიარებდნენ და პარლამენტში არ შევიდოდნენ, ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგმულიყო.

აქცენტი იმაზე უნდა გაკეთებულიყო, რომ მოეთხოვათ იმ ოლქების გაუქმება, სადაც ყველაზე მეტად ჩანდა დარღვევები და რომელზეც საუბარია როგორც ეუთოს დასკვნაში, ისე სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების დასკვნებში. ამაზე უნდა დახარჯულიყო მთელი ენერგია და პარალელურად თუკი მიღწევადი იქნებოდა, ძალების გაერთიანება უნდა მომხდარიყო მეორე ტურებში, რაც რამდენიმე ოლქში სერიოზული ბრძოლის გამართვის შანსს იძლეოდა. ვფიქრობდი, რომ ეს უფრო უპრიანი იქნებოდა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა.

ამ შემთხვევაში ოპოზიციის ერთიანობა უფრო ღირებულია. ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები აღმოჩნდნენ ერთ ფლანგზე. საერთო რა არის, მაგალითად, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ლელოს“ შორის?! განსხვავებულები არიან ბევრი თვალსაზრისით, მაგრამ ისინი ერთად დადგნენ. იგივე ნინო ბურჯანაძე და გიგა ბოკერია ერთად თუ დასხდებოდნენ, ესეც უცნაურია, მაგრამ ზოგადად ღირებული ამბავია გაერთიანება.

– მაგრამ ოპოზიციის მარგინალიზაციის რისკიც ხომ არ ჩნდება, რისი მცდელობაც აქვს ხელისუფლებას?

– თუკი საერთოდ არაფერი არ გადაწყდა, მერე ვნახავთ. მარგინალიზაცია არანაირად არ მოხდება. იმიტომ, რომ საზოგადოება ოპოზიციის გარეშე ვერ იარსებებს. შეიძლება იყოს რეიტინგის დროებითი ვარდნები ერთი მხარის ან მეორე მხარის მთელ რიგ გარეშე ფაქტორებზე დაყრდნობით. მათ შორის კოვიდის გამო და ა. შ. მაგრამ, მთლიანობაში არსებობს ასეთი ფუნდამენტური სისტემური მიზეზები, რომლითაც ქართული საზოგადოება გახლეჩილ საზოგადოებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. ხიდია ჩატეხილი და ეს პროცესი გაგრძელდება თუკი ევროპელებმა არ მოახერხეს და თანაცხოვრებისკენ არ გვიბიძგეს.

– ახალი პოლიტიკური მოთამაშის გამოსვლაზეა საუბარი, მხედველობაში მაქვს გახარია და კალაძე. ისინი ბიძინას პროექტად უნდა განვიხილოთ თუ დამოუკიდებლად და შეუძლიათ თუ არა რაიმეს შეცვლა პოლიტიკურ ველზე?

– ამაზე საუბარი ძალიან ადრეა. გახარიამ გააკეთა მინიშნებები, მაგრამ ესეც უთქმელი სახით არის. მე არ მომისმენია, ცალსახად გამოეთქვა, რომ ის უკვე პოლიტიკაშია. არც ის უთქვამს, ივანიშვილის მხარეს არის თუ ცალკე ძალაა. ამაზე მსჯელობა ნაადრევია.

ჩემი სუბიექტური გადასახედიდან პირველ რიგში იმას ვისურვებდი, რომ გახარიას მკაფიო პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, რომლებიც არსებობს და რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

– 20 ივნისს გულისხმობთ?

– დიახ. 20 ივნისი ჩემთვის არის მაკო გომურის თვალი. სხვებიც იყვნენ, მაგრამ მე წარმოდგენაში ყოველთვის მაკოს სახელი და გვარი მახსენდება.

ასევე გახარიას პასუხები აქვს გასაცემი ზუგდიდელი მასწავლებლის ია კერზაიას საქმეზე. მესმის, რომ მასწავლებლებზე ზეწოლა ქართულ პოლიტიკაში უძველესი ტრადიციაა. ეს იყო წინა ხელისუფლების დროსაც და იმის წინა ხელისუფლების დროსაც. მაგრამ, როდესაც საქმე ასეთ ტრაგედიამდე მიდის, რაც ვნახეთ, ამაზე ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს. ამიტომ გახარიას მკაფიო პასუხები აქვს მოსაძებნი საიმისოდ, რომ დაიმკვიდროს ადგილი ქართულ პოლიტიკაში.

მესმის, რომ ქართულ პოლიტიკაში მაინცდამაინც ლეგიტიმურობით არ იმკვიდრებენ ხოლმე ადგილს, მაგრამ რახან მკითხეთ, რომ მე როგორ აღვიქვამ, მე პირველ რიგში მისგან მკაფიო პასუხები მინდა და დამაჯერებელი პასუხები, რომ ის პირადად ამ ყველაფერში არაფერ შუაში არ არის. როგორც მაკო გომურისთვის თვალის გამოთხრაში, ასევე ამ ქალბატონის ია კერზაიას გარდაცვალებაში. რამდენად დამაჯერებელი იქნება, არ ვიცი.

– კალაძის თემა კიდევ უფრო ბუნდოვანია?

– რა ვიცი, მას არაფერი უთქვამს. გარდა იმისა, რომ ფიზიკურად შეუძლოდ არის. მეც შეიძლება ვივარაუდო, რომ ეს არის ადამიანი, რომელსაც იდეოლოგიური პრინციპები არასდროს ჰქონია. ის სააკაშვილის მხარეზეც იყო, ივანიშვილის მხარეზეც და კიდევ სად დადგება, მისგან არაფერი გამაკვირვებს.

ზუგდიდის ვიცე-მერი გიგა ფარულავა გადადგა

ზუგდიდის ვიცე-მერმა გიგა ფარულავამ თანამდებობა დატოვა. როგორც „მთავარი არხისთვის“ ხდება ცნობილი, ფარულავა მოლაპარაკებებს აწარმოებს საკრებულოს წევრებთანაც „ქართული ოცნებიდან“.

„მადლობას ვუხდი თითოეულ საჯარო მოხელეს, რომელნიც კეთილსინდისიერად და დაუღალავად ემსახურებიან ჩვენი ქალაქის კეთილდღეობას და განვითარებას. მადლობა თქვენ მეგობრებო, კოლეგებო, სასიამოვნო იყო თქვენთან ერთად წლების მანძილზე მუშაობა.

მადლობა თითოეულს, ვინც ჩართული იყო და არის ჩვენი ქალაქის და ქვეყნის უკეთესი მომავლის მშენებლობაში. მადლობა თითოეულ მოქალაქეს, რომელიც გაგებით მოეკიდა არსებულ პრობლემებს და გამოწვევებს.

მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო დაკავებული თანამდებობა! მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ გეგას და ვუსურვო წარმატებები!“ – დაწერა გიგა ფარულავამ ფეისბუქში.

ზუგდიდის მერიაში გიგა ფარულავას გადადგომას გამოეხმაურნენ.

– ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ისეთი კომპეტენტური და საიმედო კადრის წასვლა, როგორიც გიგა ფარულავაა, დიდი დანაკლისია. ჩვენ პატივს ვცემთ მის გადაწყვეტილებას და წარმატებებს ვუსურვებთ, – უთხრეს ლაივპრესს მერიაში.

გიგა ფარულავა თანამდებობაზე 2019 წლის ივლისში დაინიშნა.

აფხაზ გოგონას, რომელმაც თქვა, რომ აფხაზეთი საქართველოა, ბოდიში მოახდევინეს

აფხაზი გოგონა, რომელმაც ტიკ-ტოკ ვიდეოში თქვა, რომ აფხაზეთი საქართველოა, საოკუპაციო რეჟიმის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და ბოდიში მოახდევინეს.

– მე გამოვაქვეყნე ვიდეო, რომ აფხაზეთი საქართველოა. მე მთხოვეს. ამას ძალიან ვნანობ და პატიებას ვითხოვ, – ამბობს გოგონა, გვარად ტანია.

გოგონას საქციელი დაგმო მისმა მამამაც:

– ეს უსამართლობაა. მე ომი გამოვიარე.

მამას ჰკითხეს, როგორ მისცა გოგომ თავს ამის უფლება, რაზეც კაცმა უპასუხა:

– მე არ ვიცოდი და ვერც ვიფიქრებდი, რომ ის ასეთ რამეზე წავიდოდა.

ტიკ ტოკზე ვიდეო, სახელწოდებით „აფხაზეთი საქართველოა“ აღარ იძებნება.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საოკუპაციო რეჟიმი სჯის ადამიანს, რომელიც საქართველოს მხარდაჭერას გამოხატავს.

2020 წლის 8 დეკემბერს აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა ირაკლი ბებუას. 2020 წლის 30 სექტემბერს, როცა სეპარატისტული რეგიონი „დამოუკიდებლობის და გამარჯვების დღეს“ აღნიშნავდა, ბებუამ სცადა დაეწვა ე.წ აფხაზეთის დროშა და დე ფაქტო სიმბოლოები. მისი დაპატიმრების მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„9 წლის განმავლობაში ლარი სულ უფასურდება“

პაატა შეშელიძე: „ხელისუფლების პოლიტიკაა დაზაფრე და იბატონე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი პაატა შეშელიძე პასუხობს.

– ბატონო პაატა, ქვეყანა მესამე ტალღის მოლოდინშია. ეკონომიკურად ურთულესი სიტუაციაა. რამდენად გაუძლებს ამ ყველაფერს ქვეყანა, როდესაც ვხედავთ თუ რა ვითარებაა და რა დღეშია ლარი. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– მე ვხედავ, რომ ის ადამიანები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას ეკონომიკური განვითარების და პანდემიის მართვის შესახებ, ღრმად ცდებიან თავიანთ გათვლებსა და დამოკიდებულებაში, თუკი დავუშვებთ, რომ მათ ეკონომიკური განვითარება უნდათ. შეიძლება მათ ჰქონდეთ სხვა მიზანი.

– რა მიზანი?

– პოლიტიკური კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, მათთვის, რა თქმა უნდა, მისაღები და ნორმალური იქნება, რაც შეიძლება მეტი პრობლემა ჰქონდეთ ადამიანებს, შეიზღუდონ და დომინაცია გააკეთონ მათზე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

– ყველა და ყველაფერი კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს?

– მოდით, ასე დავყოთ ეს საკითხი, თუკი ჩვენ, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ, გადაწყვეტილებების აბსოლუტური უმრავლესობა არასწორია. თუკი ამას შევხედავთ პოზიციიდან, რომ რაღაც ვიწრო ჯგუფს უნდა, რომ აკონტროლოს სიტუაცია, დაძაბოს, დაზაფროს და იბატონოს, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ბევრი გადაწყვეტილება მათი მხრიდან სწორი იყოს.

– მათი გადმოსახედიდან?

– დიახ, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. შეიძლება ეს ვიწრო ჯგუფი ღებულობდეს საკმარისად სერიოზულ დივიდენდებს, როგორც პოლიტიკური გავლენის შენარჩუნების თვალსაზრისით, ასევე, ფინანსურადაც.

– ეს ხომ აზიანებს ქვეყანას და ანგრევს ეკონომიკას?

– საქმეც ეგაა. მათი ინტერესიც ამაში მდგომარეობს, რომ ეს არ აინტერესებთ. ეს თეორიული მიმოხილვა, ჩემი პირადი აზრი კი ასეთია, რომ აქ არის პოლიტიკური ინტერესი, იმიტომ, რომ არ შეიძლება ამდენი შეცდომა დაუშვა, ამის შემდეგ ისევ იჯდე სავარძელზე და პასუხისმგებლობას არ იღებდე. უბრალოდ, შეუძლებელია! ეს რომ არ იყოს გარკვეული ჯგუფის ინტერესი, მაშინ ის აუცილებლად მიიღებდა გადაწყვეტილებას ცვლილებებზე, რომ გამოასწოროს სიტუაცია. რახან ეს გადაწყვეტილებები ცვლილებებზე არ მიიღება, ე.ი. ეს გაწყობს.

– ანუ ეს მიზანმიმართული პროცესია?

– მე ვფიქრობ, ეს არის გარკვეული ჯგუფის მიზანმიმართული პროცესი. ეს არის დაზაფრე და იბატონეს პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ გარკვეული მცირე ჯგუფის ინტერესებში ზის. ეს მცირე ჯგუფი ამ სიტუაციით ხეირობს. ყველა ხომ არ აგებს არა?! ხეირობს, ამიტომაც ფინანსურადაც კმაყოფილია და მას არ აწყობს, რომ სხვები ბედნიერები იყვნენ, რადგან მათზე გავლენას ვეღარ მოახდენს ასეთ შემთხვევაში. ეს არის ჩვეულებრივი დიქტატურა, ტოტალიტარული აზროვნების ნიმუში. ეს არის ჩემი პოზიცია. სხვანაირად ამ სიტუაციას ვერ ვხსნი. თუნდაც იგივე ლართან დაკავშირებული საკითხი რომ ავიღოთ.

– ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ეროვნული ვალუტა. არის გამოსავალი?

– მრავალჯერ იყო ამაზე საუბარი, რომ ეს მოდელი, რომელიც ახლა არის არჩეული ლარის მართვისა, არ მუშაობს. ჩვენ გვაქვს პერმანენტული გაუფასურება ლარისა 2012 წლიდან და ყოველთვის ცდილობენ ეს ახსნან იმით, რომ სადღაც ლირას რაღაცა მოუვიდა, სადღა რუბლს რაღაც მოუვიდა... არასოდეს არ ამბობენ იმას, რომ ჩვენ შევცდით და რაღაც უნდა შევცვალოთ. ეს ნონსენსია, როგორ შეიძლება 9 წლის განმავლობაში პერმანენტულად უფასურდებოდეს ვალუტა და ამას აბრალებდე ყველაფერ დანარჩენს, სამყაროში რაც ხდება და შიგნით არაფერს ცვლიდე. მაშინ ხომ უნდა მიხვდე, რაღაც ისე შეცვალო, რომ საგარეო მოვლენები არ ახდენდეს შენს ვალუტაზე ამხელა ზეგავლენას. რახან ეს ცვლილებები არ არის, ე.ი. მოტივაცია ცვლილებების არ არის. ანუ ისინი, ვინც აკონტროლებენ სიტუაციას, კმაყოფილები არიან ამ ვითარებით. მათ არ აწყობთ რაიმე ცვლილება, თორემ ხომ შეცვლიდნენ. არა მგონია, რომ ისინი იდიოტები არიან. მე ასე არ ვთვლი, მე ვთვლი, რომ მათ საკუთარი ინტერესები აქვთ!

– ლარის ინფლაციასთან ერთად, ვხედავთ, როგორ იზრდება ფასები საწვავზე თუ პირველადი მოხმარების პროდუქტებზე. ძალიან მძიმე ტვირთად აწევს ეს ყველაფერი მოსახლეობას. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ყველაფერი და ამას გაუძლოს მოსახლეობამ?

– ცხადია, ტერმინ ინფლაციას იყენებენ ასეთი ფორმით, რომ ეს ფასების ზრდა არის. ჩვეულებრივი ამბავია, ეკონომიკური სიტუაცია იყო დამძიმებული, ვერ მუშაობდნენ სრული ფორმატით და, ცხადია, ვერ იქმნებოდა სათანადო რაოდენობის საქონელი, რომ მიწოდება ყოფილიყო ადეკვატური. ამავე დროს სჭირდებოდათ ფულის მასა. როდესაც ფულის მასა იზრდება წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში, როდესაც არ არის ეს დაბალანსებული საქონლის მიწოდებით, ცხადია, რომ ერთი ერთეულის მსყიდველობითი უნარი ეცემა და, ცხადია, რომ ფასები გაიზრდება. ესაა ძალიან მარტივი ლოგიკა, გარდა იმისა, რომ სხვა პროცესებიც მიდიოდა, მაგალითად ის, რომ სახელმწიფო იღებდა ვალს და მერე ხარჯავდა ისეთ პროექტებსა და ისეთ საქმეზე, რომელიც სინამდვილეში შეიძლება არ იყო მოთხოვნადი.

– კერძოდ?

– მაგალითად, გაზარდა ბიუროკრატიის ხელფასები. იმ ადამიანების, რომლებიც პრაქტიკულად არაფერს აკეთებდნენ მთელი წლის განმავლობაში, ბევრი მათგანი საერთოდ სამსახურშიც არ მისულა მთელი წლის განმავლობაში, მათი ხელფასები გაიზარდა და მათი შექმნილი მომსახურება, მეტად საეჭვოა, საერთოდ საჭირო იყო თუ არა. ამ ხალხს არაფრის კეთებაში უფრო მეტი ხელფასი მისცეს. ისინი მიდიან და უფრო თამამად ყიდულობენ ყველაფერს, იღებენ სესხს და ა.შ. ამ ჯგუფმა მოთხოვნა გაიზარდა და ეს კიდევ დამატებითი ბიძგი იყო, ბაზარზე რომ ფასები გაზრდილიყო. ძალიან ბევრი ნიუანსი იყო, რომელიც ამ ფასების ფორმირებაში იღებს მონაწილეობას.

– არის ერთი პატარა ჯგუფი, კასტა, რომელიც ქმნის ამინდს ამ მიმართულებით?

– როგორც ჩანს, არის ჯგუფი, რომელიც აი ამ სიტუაციაში ხედავს საკუთარ ინტერესებს და სიტუაციას მიმართავს ასეთი ფორმით. პოლიტიკური ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფლების შენარჩუნების ამოცანაა და ამ შენარჩუნების ამოცანის ირგვლივ არის ეს ყველაფერი მიმართული.

– როდესაც საუბარია მესამე ტალღასა და ახალ რეგულაციებზე, რამდენად გაუძლებს ამ ყველაფერს ბიზნესი?

– ეს პანდემია, მესამე და ასე შემდეგ ტალღების გამოცხადება, ეს ყოველთვის არის პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანი და არა რეალობა. შეზღუდვები ადამიანს უშლის ხელს, მოერგოს რეალურ ცხოვრებას. ჯობია ადამიანები მიეჩვიონ, როგორ უნდა იმოქმედონ. მიზანმიმართულად აფერხებენ ამ პროცესს. უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ვაწყდებით. ერთი თარგით ცდილობენ ყველაფრის მოჭრას. სამაგიეროდ, არც ერთი პიროვნება არ იღებს პასუხისმგებლობას თავის შეცდომებზე. მომავალში სიტუაცია იქნება ასე ღრმად პოლიტიზებული, როგორც ახლა არის.

„ნიკა მელია გავრილოვს გირაოს არ გადაუხდის“

მურმან დუმბაძე: „ოცნების“ პროვოკაციას არ წამოვეგებით“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, არის საუბარი, რომ ოპოზიციის ნაწილი შეიძლება დათანხმდეს იმ დოკუმენტს, რომელიც მოლაპარაკების მაგიდაზე დაიდება და პარლამენტში შევიდეს. რას იტყვით?

– მხოლოდ მათი გადასაწყვეტია პარლამენტში შევლენ თუ არ შევლენ. მათ, ვისაც პარლამენტში შესვლა უნდა, ვერავინ ვერ აიძულებს, რომ ეს ნაბიჯი არ გადადგან. აქ, საქმე სხვა რაღაცაშია, ვიღაცების პარლამენტში შესვლა პოლიტიკურ კრიზისს ვერ განმუხტავს. მაინც ვერ მოგროვდება დეპუტატთა ის რაოდენობა, რომელიც საჭირო არის საკონსტიტუციო ცვლილებისთვის. პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ხელახალი არჩევნებია. სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

– ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, ხელახალი არჩევნები არ განიხილება.

– ირაკლი ღარიბაშვილი რას იტყვის, არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია, რას იტყვის ბიძინა ივანიშვილი. ივანიშვილი ღარიბაშვილის ხელით დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს და ამის გამოცხადება მოუწევს ირაკლი ღარიბაშვილს. ყველამ ხომ ვიცით, რომ ამ გადაწყვეტილებას ღარიბაშვილი ვერ მიიღებს, ეს გადაწყვეტილება, ვიცით, ვინც უნდა მიიღოს.

თუ ამოცანაა, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ უნდა იყოს, დაე, იყოს. ჩვენ არსად არ გვეჩქარება. მე არასდროს არ მიჩქარია არც შევარდნაძის დროს, არც აბაშიძის დროს და ყოველთვის მოგებული გამოვდიოდი.

– უკვე სახელდება ვინც შევა პარლამენტში.

– არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცები მართლაც შევიდნენ, მაგრამ როგორ შევლენ, როდესაც შედეგი არ დაიდება, როდესაც შეთანხმება ვერ შედგება?! საინტერესოა, რას იტყვიან, რის გამო შევდივართო?! ეს იქნება ფარატინა ქაღალდი, რომელსაც ხელს მოაწერენ, მაგრამ მისი შინაარსი არავისთვის იქნება გასაგები. დაახლოებით ისეთივე შინაარსის იქნება, რომ გითხრათ, ბალახი თეთრია და ამაზე ხელი რომ მოაწეროს ხელისუფლებამ და ოპოზიციის რაღაც ნაწილმაც, ბალახი მართლა თეთრი ხომ ვერ გახდება. ამიტომ, გაგრძელდება ის იწილო-ბიწილო, რაც აქამდე გრძელდება. ვიმეორებ, მე არსად არ მეჩქარება. არჩევნები არ ჩატარდება 2021 წელს, ჩატარდება 2024 წელს და დამარცხდებიან. დამარცხდება, თან ძალიან მწარედ. როგორც გვინახავს, აქამდე გამონაკლისი იყო 2012 წელი. მე კი მინდა, რომ 2012 წელი გამონაკლისი კი არა, სტანდარტი იყოს. ეს განსხვავებაა ჩვენ შორის.

– უკვე გამოჩნდა პირი, რომელიც მზად არის მელიას გირაო გადაიხადოს. სარჯველაძე ამბობს, რომ ბესიკ ბოგველი ოპოზიციასთანაა აფილირებული.

– პირველად გავიგე ეს სახელი და გვარი. არავის გაუგია ოპოზიციაში. და რას ნიშნავს აფილირებული?! გვრცხვენია და ამიტომ ვერ ვიხდით ღიად და შემოვლით გზებს ვეძებთ?! თუ ნიკა მელია იტყვის გადამიხადეთ, 40 ათასი ადამიანი ნახევარ საათში შეაგროვებს თითო-თითო ლარს და ეს თანხა გადახდილიც იქნება. მელია ამბობს, ჩვენ თანხას არ ვუხდით ოკუპანტ რუსეთს. თან სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება აქვს მიღებული. გირაოს გადახდის შესახებ გადაწყვეტილება ანულირებულია და როგორ აპირებს ვინმე ბოგველი მელიას გარეთ გამოყვანას?! რომც არ იყოს ანულირებული, ადამიანი ამბობს, არ ვიხდი და ძალათი უნდა გადაუხადონ?! არ იხდის ეს კაცი თანხას, არ უნდა გამოსვლა, ამბობს გავრილოვს ვერ გადავუხდი ფულს და ძალით უნდა გადაუხადონ, ეს სად გაგონილა?! ნიკა მელიას პროტესტი სრულიად ლეგიტიმურია.

თვითონ „ოცნებამ“ მოძებნა ვინმე ბოგველი და აპირებენ პროვოკაციის მოწყობას, მაგრამ ჩვენ ამაზე არ უნდა წამოვეგოთ.

– სალომე ზურაბიშვილთან დანიელსონის ხშირი შეხვედრა, შეიძლება გიორგი რურუას შეწყალების თხოვნით იყოს განპირობებული?

– არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ რურუას საკითხი განიხილება ამ შეხვედრებზე. მას შეუძლია რურუას შეწყალება, ეს ძალიან მარტივი საქმეა. ნიკა მელიას სასამართლო ჯერ არ არის დასრულებული და ამიტომ პრეზიდენტი მას ვერ შეიწყალებს.

ის ექვსი საკითხი, რომელიც მიშელმა დატოვა, ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ აქ უმთავრესი ეს ორი საკითხია: პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ახალი არჩევნების დანიშვნა. დანარჩენი საკითხები უკანა პლანზე გადადის. დაუშვათ მიიღეს გადაწყვეტილება და დღესვე გამოუშვეს მელია და რურუა, მაგრამ არ დაინიშნა არჩევნები, პოლიტიკური კრიზისი მაინც გაგრძელდება.

– არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციის რაღაც ნაწილმა ჩახსნა ხელახალი არჩევნები.

– არა, ხელახალი არჩევნების გარეშე არაფერი გამოვა. არავინ ამბობს, გინდა თუ არა, დღეს დაინიშნოს არჩევნები. მისასვლელ გზებზეა საუბარი. ბევრი ვერსიაა. იფიქროს მთავრობამ, ყველაფერზე ოპოზიცია ხომ ვერ იფიქრებს. არც იმას დავთანხმდებით, რომ უცებ დაინიშნოს არჩევნები და არ გამოუშვან პოლიტპატიმრები, ნიკა მელია, ამას არავინ არ დათანხმდება.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„ქართული ოცნება“ 2024 წლამდე ვერ მიაღწევს“

გიგა ბუკია: „ოპოზიცია რომ შესულიყო პარლამენტში, მიეღო მონაწილეობა არჩევნების გაყალბების საკითხის შემსწავლელი კომისიის მუშაობაში, ეაქტიურა, შეიძლება უმრავლესობა აქამდე დაშლილიყო“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობასა და საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.

– ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ, შალვა ნათელაშვილმა მიმართვა გაუგზავნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ჯორჯ კენტს. კენტი მონაწილეობდა აშშ-ის სენატის საგარეო კომიტეტის ქვეკომიტეტში გამართულ მოსმენაში საქართველოს შესახებ. ნათელაშვილი კენტს ადანაშაულებს ივანიშვილის მიმართ ლოიალურობაში და აღნიშნავს, რომ მისი მხრიდან ივანიშვილისა და მისი პარტიის გათეთრების მცდელობამ გამოიწვია შოკი საქართველოში. ლეიბორისტების ლიდერი მოუწოდებს ადრესატს, დააწესონ სანქციები ივანიშვილისა და მისი გარემოცვის წინააღმდეგ. თქვენ როგორ აფასებთ ამ ყველაფერს?

– მე ამას სერიოზულად არ ვუყურებ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შალვა ნათელაშვილი, რომელსაც დიდი ხნის წინ მაღალი რეიტინგი ჰქონდა, არასტაბილურობით გამოირჩევა. ახლა სულ ივანიშვილის ლანძღვაშია, წლების წინ კი, როცა ივანიშვილი ბიზნესით იყო დაკავებული, მასთან შეუთანხმებლად წამოაყენა მისი კანდიდატურა პარტიის პრემიერმინისტრობის კანდიდატად. დღეს დასავლეთის მიმართ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამს, როცა სჭირდება, დასავლეთს აქებს, როცა დასჭირდება, კიცხავს.

– პოლიტიკურ კრიზისზე რას იტყვით?

– ის, რაც ახლა პოლიტიკაში ხდება, არ შეესაბამება ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს, არ უწყობს ხელს ქვეყნის განვითარებას და საეჭვოს ხდის მის პერსპექტივას. ჩვენი პარტნიორები, კეთილმოსურნეები გვირჩევენ, ხელი ავიღოთ კინკლაობაზე, ვიწრო პარტიული ამოცანების აჩემებაზე და ვიფიქროთ ქვეყანაზე, სახელმწიფოებრივ მიზნებზე. ასეთი ტერმინიც კი მოვისმინეთ – პარტიული-პარტიზანული ინტერესები. ეს რეკომენდაციები წაგვადგება, მაგრამ სააკაშვილს რას გააგებინებ?! რუსეთსაც შეეკვრება და სხვებსაც, ოღონდ თავისი გაიტანოს. სააკაშვილის მიზანია ძალაუფლების დაბრუნება ყველაფრის ფასად.

– ექსპერტების დასკვნით, საქართველოს პოლიტიკურმა კლასმა თავი ამოწურა. განსაკუთრებით, ნდობა დაკარგეს იმ პარტიებმა, რომლებიც მუდმივ კინკლაობაში იმყოფებიან.

– დღევანდელი მოცემულობა არ ასახავს რეალობას.

– კერძოდ?

– ცოტა ხნის წინ გაიმართა არჩევნები. პარლამენტში მოხვდნენ პარტიები, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა. ხალხის ნაწილს არ მოსწონს ის, რასაც ეს პარტიები აკეთებენ. გასაგები მიზეზების გამო შემცირდა „ქართული ოცნების“ რეიტინგიც. ახლა რომ გაიმართოს არჩევნები, ეს პარტიები წინანდელზე ბევრად ნაკლებ ხმას მიიღებენ. მოსახლეობაში არის მოთხოვნა მესამე ძალაზე. ვინ მოახერხებს ამ მესამე ძალის ლიდერობას, სხვა საკითხია.

– ერთი პრეტენდენტი გიორგი გახარიაა, რომელიც პარტიას აფუძნებს?

– რასაკვირველია. გიორგი გახარიას აქვს რეიტინგი. ის სერიოზული და წონიანი ფიგურაა. ეს რომ ასეა, „ქართულმა ოცნებამ“ დაადასტურა – გახარია ჩასვეს პირველ ნომრად საარჩევნო სიაში და შემდეგ დაამტკიცეს პრემიერად.

– ამბობენ, რომ მასთან მივა იმ ოპოზიციური პარტიების ნაწილი, რომელიც დღეს ე. წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში ირიცხება.

– ის, თუ ვინ გაერთიანდება გიორგი გახარიას პოლიტიკურ ძალაში, პირადად მასზეა დამოკიდებული. შეიძლება ვინმეს უნდოდეს ახალ გაერთიანებაში მისვლა, მაგრამ გახარიამ არ მიიღოს. ისიც ხომ გასათვალისწინებელია, ამაღლდება რომელიმე სუბიექტის მიღებით გახარიას პარტიის რეიტინგი თუ ჩამოქვეითდება? სიტყვაზე„ „გირჩი“ რომ მიიღოს, ამით მხარდაჭერა გაეზრდება? ამ კითხვას მკითხველმა უპასუხოს. გიორგი გახარიას პოლიტიკაში დარჩენას და გააქტიურებას მივესალმები.

– არსებობს ინფორმაცია, რომ პოლიტიკურ სპექტრში სხვა ცვლილებები და გადაჯგუფებებიც იგეგმება.

– მესამე ძალის ჩამოყალიბების პროცესში ბევრი რამ გამოჩნდება. აქამდე შუა იყო გაკრეფილი. შევყურებდით „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას. მერე ეს აღარ იქნება.

– გახარიას პარტია საპარლამენტო უმრავლესობაზეც იმოქმედებს? „ოცნებას“ სულ 90 დეპუტატი ჰყავს და ეს უმრავლესობაც შეიძლება დაიშალოს?

– ცხადია. ადრეც ვამბობდი, „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდებოდა მიღწევა 2024 წლამდე. ახლა, გახარიას ძალის შექმნის შემდეგ, მასთან მოისურვებს ყოფნას დეპუტატების ნაწილი. დაინიშნება ვადამდელი არჩევნები თუ არა, სულ ერთია. „ქართული ოცნება“ საპარლამენტო უმრავლესობას ნებისმიერ შემთხვევაში დაკარგავს. ოპოზიცია პარლამენტში რომ შესულიყო, ბევრი რამ მოხდებოდა.

– რა მოხდებოდა?

– ოპოზიცია რომ შესულიყო პარლამენტში, მიეღო მონაწილეობა არჩევნების გაყალბების საკითხის შემსწავლელი კომისიის მუშაობაში, განეხილა სხვა საკითხები, ეაქტიურა, შეიძლება უმრავლესობა აქამდე დაშლილიყო. ოპოზიციამ ბოიკოტის გზა არჩია, ამით დათვური სამსახური გაუწია თავის თავსაც, ამომრჩეველსაც და „ოცნებასაც“. მე პარლამენტში არშესვლა სწორად არ მიმაჩნია. ეს არც 2008 წელს მეგონა სწორი. მაშინ ჩვენ დეპუტატობაზე უარი ვთქვით. რამდენიმე ოპოზიციონერი შევიდა პარლამენტში, ნაწილი (ლეიბორისტები) ხელფასს იღებდნენ, მაგრამ სხდომებზე არ დადიოდნენ.

– გაერთიანებული ოპოზიციისგან რას ელით?

– ფაქტია, რომ ოპოზიციას ხალხი ვერ გამოჰყავს. ამ პარტიების ამომრჩეველიც კი არაა დესტრუქციის მომხრე. რევოლუცია, არეულობა და ქაოსი მოსახლეობის უმრავლესობას არ უნდა. არა მგონია, ხალხის მობილიზაცია შეძლონ. ნონსენსია, რომ საპროტესტო აქცია დაგეგმეს ორი თვის შემდეგ – 15 მაისს. 15 მაისს შეიძლება გამოაცხადონ, რომ აქცია ორი თვით გადაიდო. ეს ტაქტიკა გაუგებარია. „ქართულ ოცნებასაც“ არ უდგას კარგი დღეები. ეკონომიკაში, ჯანდაცვაში, სოციალურ სფეროში პრობლემები მწვავდება, პარტია კი ლიდერის გარეშე დარჩა – ივანიშვილიც წავიდა და გახარიაც.

თენგიზ დიხამინჯია: „გახარიამ 20 ივნისის დამნაშავეები უნდა დაასახელოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.

– ბატონო თენგიზ, 31 მარტი არის უმნიშვნელოვანესი დღე საქართველოს ისტორიაში. ეს არის რეფერენდუმის დღე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის საფუძვლის მომზადებას მიეძღვნა და დიდი წარმატებით ჩატარდა. 31 მარტი ასევე ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეცაა. თქვენ იმ პროცესების აქტიური მონაწილე იყავით. როგორ ეხმაურება ეს დღე თანამედროვეობას და რას ფიქრობთ დღეს?

– 31 მარტი მართლაც უმნიშვნელოვანესი დღეა საქართველოს ისტორიაში, რადგან, როგორც კი პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა, „მრგვალმა მაგიდამ“ დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ნიადაგის მომზადება დაიწყო.

მრავალპარტიული არჩევნები პირველებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ ჩავატარეთ. ბალტიისპირეთშიც მრავალპარტიული არჩევნები არ იყო. ფაქტობრივად, კომპარტიის ლიდერებმა, ადგილობრივმა პირებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობის აღდგენა. მათ არ დასჭირდათ იმხელა ძალისხმევა, რაც საქართველოს. იქ მერე შეიქმნა პრობლემები.

პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ, ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალმა საქართველომ“. საქართველოს მოსახლეობის წინაშე რეფერენდუმში ძალიან მარტივი კითხვა დაისვა: გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. კითხვაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ.

ჩვენ რისკი გავწიეთ. ისეც შეგვეძლო გამოგვეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, როგორც გამარჯვებულ პარტიას, მაგრამ გავრისკეთ და საქართველოს მოსახლეობას შევეკითხეთ, მათ შორის, არაქართველ მოსახლეობას, სურდათ თუ არა დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრება. რისკმა გაამართლა და საქართველოს მოსახლეობისაგან მივიღეთ სასურველი შედეგი – აბსოლუტური ლეგიტიმაცია და აღიარება.

შემდეგ რა პროცესებიც განვითარდა (ბევრი საბედისწერო მოვლენაა), ცალკე სალაპარაკოა, მაგრამ დღეს თუ საქართველო არის დამოუკიდებელი, მსოფლიო ქვეყნების მიერ აღიარებული, ეს სათავეს იღებს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმიდან. რეფერენდუმი დაემთხვა ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, რომლის წვლილი და ფასი, საკაცობრიო, ისტორიული გეოპოლიტიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით, განუზომელია. რაც დრო გავა, ამას ფასი უფრო გაეზრდება.

ზოგიერთები, ნაციონალური პარტიის წარმომადგენლები, აცხადებენ, თითქოს 2012 წელს ხელისუფლების გადაბარების პირველი შემთხვევა იყო და ძალაუფლება სისხლის გარეშე დათმეს. პირველი პრეცედენტი იყო მაშინ, როცა კომუნისტებმა, გივი გუმბარიძემ, მართლა უმტკივნეულოდ, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ხელისუფლება გამსახურდიას და „მრგვალ მაგიდას“ გადააბარეს.

– თუმცა, შემდეგ მოაწყვეს რევანში.

– ეგ ცალკე საკითხია. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ სხვა ლიდერებისა და მათი კლანისაგან განსხვავებით, გივი გუმბარიძე, საერთოდ, გაქრა ქართული რადარებიდან და არც – ბიზნესში, არც – პოლიტიკაში (არც ფარულში და არც იდუმალში) მონაწილეობა არ მიუღია. ეს ფაქტია. დანარჩენს ამაზე ისტორია იტყვის.

რეფერენდუმის ჩატარებაში ზვიად გამსახურდიას როლი განუზომელია. ზვიადმა მოახდინა მისი ორგანიზება, ეროვნული ნებისა და სუვერენიტეტის განსხეულება. ამ ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარს გაფრთხილება და გამტკიცება უნდა. ის სავალალო ვითარება, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით, სამწუხაროდ, სცილდება იმ იდეას. გარკვეული თვალსაზრისით, მოხდა დესუვერენიზაცია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, დამოუკიდებლობის აქტით და რეფერენდუმით განსაზღვრული ღირებულებების რეალიზაციისთვის. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

– რეფერენდუმის შემდეგ პერიოდში საქართველოში უდიდესი კრიზისები იყო, დღესაც, რატომღაც კრიზისში ვართ.

– სამწუხაროდ, მომაბეზრებელიც არის გაუთავებელი პოლემიკა და ვერაფრით მოხერხდა სახელმწიფოებრივი იდეის აღდგენა, პოლიტიკური კულტურის ამაღლება, დანაშაულებრივი შეცდომების ლიკვიდაცია, უმნიშვნელოვანესია ის, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. პოლიტიკური დინოზავრები რუსეთი, ირანი და თურქეთი გაერთიანდნენ, სომხეთიც და აზერბაიჯანიც მათ შორისაა და ცდილობენ, როგორმე საქართველოც შეიყვანონ მათ თამაშში. თუ ჩვენ მათ შორის აღმოვჩნდებით, ეს, ფაქტობრივად, იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდება და დესუვერენიზაცია გარანტირებული იქნება.

– მაგისთვის ვის სცალია, არჩევნების შემდეგ შექმნილი ვითარების განმუხტვას ცდილობენ.

– ეს არჩევნებს არანაირად ხელს არ უშლის. ჩვენი მთავარი უბედურება ისაა, რომ მთავარი იდეები არ გვაერთიანებს. არჩევნები არის ხელისუფლების ლეგიტიმური ცვლილება, რაც დასავლური მოდელია. ამას არ უნდა გადააყოლო ქვეყნის და სახელმწიფოს ინტერესები. პარტიის ინტერესები და სახელმწიფოს ინტერესები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ამიტომ ეს სქემა, პირიქით, იმისთვისაა, რომ ერი შეიკრას, ჩამოყალიბდეს, სწორი კომპასი გამონახოს და დაიძლიოს დუალიზმი, გაორება, გათიშვები, სახელმწიფოებრივი ეროვნული სხეულის დასნეულება, რომლის წამალი იქნება ამ საკითხზე შეთანხმება და საზოგადოების, ოპოზიციისა და ხელისუფლების კოორდინირებული მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა უფრო ღრმა კრიზისში შევა და ყველაფერი საქართველოს დესუვერენიზაციით დამთავრდება. ასეთია სამწუხარო, საკმაოდ ბნელი საშიშროება. არ უნდა მოხდეს ის, რაც რუსეთმა გააკეთა საუკუნის წინ, 25 თებერვალს შულავერის კომიტეტის ხელდასხმით.

მსგავსი შეცდომა არ უნდა დავუშვათ და ის ძალები, რომლებიც ამ პროცესს შეეწინააღმდეგებიან, პოლიტიკიდან უნდა გავიყვანოთ.

– გახარია 31 მარტს ამთხვევს თავისი პოლიტიკური ძალის შექმნას.

– ჯერ ვიტყვი ზვიად გამსახურდიას ფენომენი რით განსხვავდებოდა დანარჩენი პიროვნებებისაგან. ზვიად გამსახურდია საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას შეეწირა. გავიხსენოთ მისი ბოლო გამოსვლა აფხაზეთის ტერიტორიიდან. აფხაზეთში ზვიად გამსახურდიას რუსეთის გენერალიტეტმა საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნება შესთავაზა, თუ აფხაზეთის დამოუკიდებლობას ხელს მოაწერდა. ეს რასაც ნიშნავდა, გასაგებია. ეს პირდაპირ საქართველოს დესუვერენიზაცია იქნებოდა. მთელი ცხოვრება დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, რეფერენდუმი ჩაატარა, რომელშიც აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობამ (65%-ზე მეტმა) საქართველოს დამოუკიდებლობას და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას ხმა მისცა და სთავაზობდნენ აფხაზეთის აღიარებას. ზვიად გამსახურდიამ ამას სიკვდილი არჩია და სიკვდილის გზაზე წავიდა.

ამ შემთხვევაში ზვიად გამსახურდიას სიკვდილი იყო გვირგვინი – სიკვდილმა, ფაქტობრივად, დალეწა მისი ამქვეყნიური სხეული, ფიზიკური, ემპირიული არსებობა და ისტორიულად უკვდავყო. მან შთამომავლობას უმაგალითო გმირობა აჩვენა.

– ამ ფონზე დღევანდელი მოთამაშეები როგორ ჩანან?

– დღევანდელ ე.წ. მოთამაშეებს, ივანიშვილი იქნება თუ მისი საამქროდან გამოჩეკილი სხვადასხვა ადამიანები, ერთადერთი შანსი აქვთ – საქართველოს სუვერენიტეტიზაციას, ეროვნულ თანხმობას და პოლიტიკურ კულტურას მხარი დაუჭირონ, ანუ დესუვერენიზაციას შეეწინააღმდეგონ და მოქნილი პოლიტიკა აწარმოონ.

ზვიად გამსახურდია, მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და იმ პერიოდის უდიდესი ექსპერტები სხვადასხვა ჰესების მშენებლობას ეწინააღმდეგებოდნენ. მაშინ ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობის იდეა შემოაგდეს ჯერ კიდევ 9 აპრილამდე. ამის გამო მთელი ერი გაერთიანდა ამ მავნებლობის წინააღმდეგ და უკუვაგდეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, დროებით.

ჩემთვის ცნობილია ზვიად გამსახურდიასა და ექსპერტების შეხედულებები ნამახვანჰესზე. აღნიშნავენ, რომ ეს არის მთის, მთის რელიეფის დაღუპვა, რომელიც გაუცხოებას და ეთნოსის გადაგვარებას იწვევს, მან გააფრთხილა საქართველოს მოსახლეობა, რომ ამ საშიშროების წინაშე ვიდექით.

– საინტერესოა, ზვიად გამსახურდია რას ფიქრობდა ჰესების მშენებლობაზე, როცა ის ხელისუფლებაში იყო.

– ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ეს პროექტები ისტორიას ჩაბარდა, უკუგდებული იქნა. ის ტექნოკრატები, რომლებიც შევარდნაძის პერიოდშიც და დღესაც უხვად იყვნენ და არიან, არ ისვენებენ. მათთვის მოგება, სხვა ამქვეყნიური კეთილდღეობაა მთავარი. ყველაფრის გადათელვით ცდილობენ საქართველოს მოსახლეობას ხელები გადაუგრიხონ.

ნამახვანჰესზე ხელშეკრულება ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს დაიდო, ნიკა გილაურმა მოაწერა ხელი. შემდეგ ამას ვიზირება მიეცა ღარიბაშვილი დროს. ბოლო აკორდი იყო გახარიას ვიზირება. შემთხვევითი არ არის, რომ ქალბატონმა ნათია თურნავამ სრული კრახი განიცადა და ღამის სამოქალაქო ომი დაიწყო, მაგრამ არ ჩერდებიან, კიდევ უფრო დიდი პროექტის განხორციელება უნდათ, რომელიც დაკავშირებულია უბედურებასთან.

– გახარიას პოლიტიკაში შემოსვლაზე მაინც არ მიპასუხეთ.

– გახარია შემოვა პოლიტიკაში თუ 20 ივნისის დამნაშავეებს გაემიჯნება, დაასახელებს დამნაშავეებს ორივე მხრიდან, წარმოადგენს ალტერნატიულ – მესამე ძალის არსებობის მსოფლმხედველურ-პოლიტიკურ-ფინანსურ პროექტებს და გაემიჯნება იმ დამანგრეველ პროექტებს, რომელიც 9 წლის განმავლობაში დომინირებდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს გახარიას პერსპექტივა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მისი პრაგმატული გათვლა იქნება, ივანიშვილს მისცეს გარანტია.

– პრეზენტაცია 31 მარტს დაამთხვია.

– ეს დამთხვევა მხოლოდ პრაგმატული ინტერესებიდან არ გამომდინარეობს. პრეზენტაცია ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს დაამთხვია. ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდიას ელექტორატის მხარდაჭერა უნდა. მხარდაჭერა ექნება იმ შემთხვევაში, თუ საქმით ემსახურება და ვიწრო პარტიული მოსაზრებებით არ იმოქმედებს.

რუსუდან კერვალიშვილმა საპატიმრო დატოვა

ადვოკატი ბასილაია: „მაია რჩეულიშვილის ციხიდან გამოშვებას წინ არაფერი უდგას“

გუშინ, 30 მარტს, რუსუდან კერვალიშვილმა სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა. „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა საპატიმროში 4-წლიანი სასჯელი მოიხადა.

კერვალიშვილმა საპატიმროს დატოვების შემდეგ ჟურნალისტებთან პირველი კომენტარი გააკეთა.

– ჯერჯერობით მე ჩემი გული დავტოვე საპატიმროში, რადგან იცით, რომ ჩემი და მაია რჩეულიშვილი პატიმრობაშია. პირველი ემოციაა, რომ, რა თქმა უნდა, თავისუფლების ფასი არაფერი არაა. აქ თავისუფლებას ვგრძნობდი ჩიტების ფრენით. ყველაზე დიდი შეგრძნებაა თავისუფლება. განცდა ძალიან დიდი მაქვს და ასევე მაქვს ძალიან დიდი სინანული. ის ადამიანები, ვინც ძალიან გვენდნენ წლების განმავლობაში, დაზარალდნენ, – განაცხადა რუსუდან კერვალიშვილმა.

რუსუდან კერვალიშვილს ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88-ის“ ეპიზოდზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა 2017 წელს მიესაჯა.

მას პატიმრობის ვადა მიმდინარე წლის 31 მარტს უმთავრდებოდა და პატიმრობის კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, საპყრობილე გუშინ დატოვა.

რუსუდან კერვალიშვილის ადვოკატის, ბექა ბასილაიას განცხადებით, „ცენტრ პოინტის“ დაზარალებულების ინტერესთა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო სახსრებიდან არაფერი იხარჯება და ყველა ხარჯს „ცენტრ პოინტი“ საკუთარი ქონებიდან ანაზღაურებს.

– სამმხრივი მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობს ინვესტორებს, მერიასა და „ცენტრ პოინტს“ შორის, ბოლოშია გასული – მემორანდუმი, კონტრაქტები გაფორმებულია. ეს ყველაფერი ემსახურება რამდენიმე ათასი დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილებას.

ყველა პროცედურა ლეგალურია და სახელმწიფო არც ერთ თეთრს არ ხარჯავს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მობილიზებულია ის ქონება, რომელიც „ცენტრ პოინტს“ აქვს და ამ ქონებას აქვს რესურსი, რომ დააკმაყოფილოს როგორც დაზარალებულები, ასევე, ინვესტორებისთვის საინტერესო იყოს მშენებლობების დასრულება, – განაცხადა ბასილაიამ.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების გაფორმებას მაია რჩეულიშვილთან, ადვოკატის განმარტებით, ამ მხრივ დაცვის მხარის სრული მზაობაა და დაზარალებულების ინტერესების დასაკმაყოფილებლად „ცენტრ პოინტმა“ ყველა ნაბიჯი გადადგა.

– დღეის მდგომარეობით, წინ არაფერი უდგას მაია რჩეულიშვილთან შეთანხმებასაც საიმისოდ, რომ დაზარალებულთა ინტერესები იქნას მაქსიმალურად დაკმაყოფილებული, მაქსიმალურად მოკლე დროში.

მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები. საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს პროკურატურასთან. ჩვენი მხრიდან სრული მზაობაა და ეს არ არის მხოლოდ სიტყვიერი, ეს არის ხელმოწერილი დოკუმენტების სახით, რომელიც ადასტურებს, რომ დაზარალებულების ინტერესების დასაკმაყოფილებლად „ცენტრ პოინტმა“ გადადგა ყველა ნაბიჯი, რისი გადადგმაც შეეძლო, – განაცხადა ბასილაიამ.

მაია რჩეულიშვილს და რუსუდან კერვალიშვილს ბრალად მენაშენეთა კუთვნილი თანხების, 11 მილიონი ლარის მითვისება ედებათ. ამ დროისთვის კი „ცენტრ პოინტის“ დაუსრულებელი შენობების ნაწილის დემონტაჟი განხორციელდა, რამდენიმე ობიექტზე მშენებლობა განახლდა

„ნელი დოროყაშვილს სხეულზე კანი ჰქონდა აქერცლილი“

რა ჩვენება მისცა სასამართლოს სასწრაფოს ექიმმა

გუშინ, 30 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული ჩოგბურთელის, ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა გაიმართა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ორი მოწმე: სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის წევრი და საპატრულო პოლიციის თანამშრომელი დაიკითხნენ, რომლებიც შემთხვევის დღეს, 2020 წლის 21 მაისს, ადგილზე გამოიძახეს.

– სასწრაფო დახმარების ექიმმა ცალსახად განმარტა, რომ ნელი დოროყაშვილის სხეულზე აღინიშნებოდა მხოლოდ მცირედი ესკორაცია კანის აქერცვლის სახით, ის არ განიცდიდა ტკივილს და კითხვაზე, საიდან ჰქონდა აღნიშნული დაზიანება, ნელი დოროყაშვილმა მისი წარმომავლობა ვერ მიუთითა.

ამის შესახებ ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატმა თეონა გვაზავამ განაცხადა.

მისივე თქმით, ექიმის ჩვენებიდან დგინდება, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილის მხრიდან 2020 წლის 21 მაისს ძალადობრივი ქმედება არ განხორციელებულა.

– ბრალდების მხარეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია მოწმის სახით გამოიძახოს ნიკოლოზ ბასილაშვილი, როგორც კი ექნება შესაძლებლობა, ჩამოვა და დარბაზში დაესწრება საქმის არსებით განხილვას. სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება ცალსახად ადასტურებს, რომ მისი მხრიდან არანაირ ძალადობას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, დადასტურდება მისი უდანაშაულობა, – აღნიშნა თეონა გვაზავამ.

შემდეგი სხდომა 19 აპრილს, 14:00 საათზე ჩაინიშნა.

საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვნის თანდასწრებით. მოგვიანებით პროკურატურამ ბასილაშვილს ბრალდება დაუზუსტა და მას ძალადობის რამდენიმე ეპიზოდთან ერთად, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც ედავებიან.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს.

სასამართლომ ბასილაშვილის აღკვეთის ღონისძიების საკითხზე იმსჯელა და ის 100.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

საბერძნეთში ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტს ქურდებმა სცემეს

საბერძნეთში მცხოვრები ქართველი კრიმინალური ავტორიტეტები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

შეხვედრაზე, რომელსაც ქართველი კანონიერი ქურდი ზაზა ამბროლაძე ხელმძღვანელობდა, 46 წლის კრიმინალური ავტორიტეტის – ზვიად პაპიაშვილის საკითხი განიხილებოდა.

2008 წელს თბილისის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პაპიაშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ახლა კი საბერძნეთში მას ნიკოლოზ შალიბაშვილიც დაუპირისპირდა.

ფიზიკური დაპირისპირების ამბავი კალაშოვამდეც მივიდა. შაქრო კალაშოვმა შალიბაშვილს დაუჭირა მხარი და თქვა, რომ „ის ხელს ტყუილად არ დაარტყამდა“.

ამ შეკრებამდე პაპიაშვილს კრიმინალურმა ავტორიტეტმა მერაბ ჯანგველაძემ უთხრა, რომ ეს საკითხი აუცილებლად მშვიდობიანად მოეგვარებინა იმ კანონიერ ქურდებთან, ვისაც თბილისში დაუპირისპირდა, რადგან საბერძნეთში მცხოვრები ქართველი კრიმინალური ავტორიტეტები მას, როგორც ქურდს, არ აღიარებენ.

პაპიაშვილმა უარი განაცხადა და თქვა, რომ ან ის დარჩებოდა ქურდად, ან – მისი მოწინააღმდეგეები.

პაპიაშვილი საკმაოდ რთულ სიტუაციაშია და დროთა განმავლობაში მისი მხარდამჭერი კანონიერი ქურდების რიცხვიც მცირდება.

მამაკაცი რუსთავიდან ხაშურში თავის მოსაკლავად ჩავიდა

რუსთაველმა მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 40 წლამდე მამაკაცი 28 მარტს სუიციდის მიზნით რუსთავიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში ჩავიდა.

ახალგაზრდა კაცი გარდაცვლილი მისმა ნათესავებმა იპოვეს.

რა გახდა სუიციდის მიზეზი, უცნობია.

როგორც „ინფო რუსთავს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ქართველი მწარმოებლები „კარფურს“ სასამართლოში უჩივიან

ქართველი მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანიები ჰიპერმარკეტ „კარფურს“ სასამართლოში უჩივიან. საუბარია რამდენიმე სარჩელზე, რომლებიც საერთაშორისო ბრენდის წინააღმდეგ სასამართლოში შევიდა.

საქმე ეხება „კარფურის“ მხრიდან მიმწოდებლებისათვის თანხების უკანონო ჩამოჭრის პრაქტიკას, რაც კომპანიებს სოლიდური თანხებით აზარალებს.

დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციაში ამბობენ, რომ ადგილობრივი მწარმოებლები და სადისტრიბუციო კომპანიები სასამართლო დავას საერთაშორისო ბრენდის წინააღმდეგ იწყებენ.

მეან-გინეკოლოგ ი.მ.-ს 8 წლის შემდეგ 1,5 წელი მიუსაჯეს

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი და სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე ი.მ.-ს თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2013 წლის იანვარში, ქ.დუშეთში შპს „ჯეოჰოსპიტალსის“ სამედიცინო ცენტრის მეან-გინეკოლოგი ი.მ. ახლად ნამშობიარებ დ.დ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობას, რომელსაც სეფსისი განუვითარდა, გულგრილად მოეპყრო.

„მან დროულად ვერ შეძლო სწორი დიაგნოზის დადგენა, ასევე არ უზრუნველყოფ პაციენტის სწორი სამედიცინო გამოკვლევა და მკურნალობა, რამაც დ.დ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაართულა, რის შედეგადაც იგი 2013 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა.

2019 წლის 26 ივლისს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ი.მ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად 3 წელი პირობითი მსჯავრი განუსაზღვრა 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

მას ასევე, 3 წლით ჩამოერთვა საექიმო საქმიანობის უფლება.

ბრალდების მხარემ აღნიშნული განაჩენი სასჯელის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა, რაც პროკურატურამ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარში დაფიქსირებული გარემოებები და ი..მ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 1 წელი და 6 თვე პირობითი მსჯავრი, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. ასევე მას 3 წლით ჩამოერთვა საექიმო საქმიანობის უფლება.

სასამართლოს განაჩენის აღსრულება შესაბამისმა სამსახურმა დაუყოვნებლივ უზრუნველყო და სასამართლო დარბაზში მყოფი მსჯავრდებული ი.მ. ადგილზე დააკავეს“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ტექინსპექტირების ცენტრის თანამშრომელი ამხილეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პირველადი ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის თანამშრომელი ამხილეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, იმერეთის რეგიონში მდებარე ერთ-ერთ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში, კერძო მფლობელობაში არსებული ავტომანქანის შემოწმებისას, მისი ვიზუალური და ტექნიკური დაზიანების მიუხედავად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევით გასცა ტექნიკური ინსპექტირების დადებითად გავლის ანგარიში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით.

იტალიის პრემიერი დრაგი და მისი ცოლი ასტრაზენეკათი აიცრნენ

იტალიის პრემიერ-მინისტრმა მარიო დრაგიმ და მისმა მეუღლემ მარია სერელა კაპელომ ასტრაზენეკას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზა გაიკეთეს.

73 წლის პრემიერსა და მის მეუღლეს, რომელიც ასევე 73 წლისაა, ვაქცინაცია რომის მთავარ სარკინიგზო სადგურზე გახსნილ ვაქცინაციის ცენტრში ჩაუტარდათ.

იტალია ერთ-ერთი იყო იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც მიმდინარე თვის დასაწყისში ასტრაზენეკას ვაქცინის გამოყენება შეაჩერეს. იტალიამ, სხვა ქვეყნებთან ერთად, ვაქცინის გამოყენება მას შემდეგ განაახლა, რაც ევროპის მედიკამენტების სააგენტომ განაცხადა, რომ ასტრაზენეკას სარგებელი მის რისკს აჭარბებს.

ბოლო მონაცემებით, იტალიაში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 60 მილიონს შეადგენს, 3 მილიონზე მეტ ადამიანს ვაქცინის ორივე დოზა აქვს გაკეთებული. ქვეყანაში 1 დღეში ვაქცინის დაახლოებით 250.000 დოზის გამოყენება ხდება. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, აპრილში ეს რაოდენობა გაორმაგდება.

ამასთან, იტალია ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩასული პირებისთვის 5-დღიან სავალდებულო კარანტინს აწესებს.

მოქალაქეებმა კორონავირუსზე ტესტი იტალიაში ჩასვლამდე, განმეორებითი ტესტი კი კარანტინის დასრულების შემდეგ უნდა ჩაიტარონ.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს დარჩება ძალაში ახალი შეზღუდვა.

იტალიაში მსგავსი წესი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის უკვე მოქმედებს.

ესპანეთში პირბადე ღია სივრცეში ყველგან სავალდებულო ხდება

ესპანეთში პირბადის გამოყენება ღია ცის ქვეშ ყველგან, მათ შორის, სანაპიროებსა და საცურაო აუზებზეც, სავალდებულო ხდება იმ სიტუაციაშიც კი, სადაც სოციალური დისტანციის დაცვა შესაძლებელია.

რეგულაცია, რომელიც კატალონიაში გასული წლის ივლისიდან არის ძალაში, მთელ ქვეყანაში გავრცელდება.

პირბადეების მოხსნა მხოლოდ ჭამის, სმისა და მოწევის დროს იქნება შესაძლებელი.

ესპანეთში, პანდემიის დაწყების დროიდან, კორონავირუსით ინფიცირების 3.2 მილიონი და გარდაცვალების 75.000 შემთხვევაა დადასტურებული.

ქვეყანაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია მიმდინარეობს და ბოლო მონაცემებით, ვაქცინების 4.5 მილიონი დოზაა გამოყენებული, თუმცა სრულად ვაქცინირებული ჯერ მხოლოდ მოსახლეობის 5 პროცენტია.

ნავალნი, შესაძლოა, საჯარიმო იზოლატორში გადაიყვანონ

რუსი ოპოზიციონერი ნავალნი ვლადიმირის კოლონიაში იმყოფება. მხოლოდ გასული ორი კვირის მანძილზე კოლონიის ხელმძღვანელობამ მას 14 გაფრთხილება მისცა.

– შესაძლოა, საჯარიმო იზოლატორში გადამიყვანონ, – ამბობს ნავალნი.

ოპოზიციონერის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ნავალნი ზურგის არეში ტკივილებს უჩივის.

რუსი მედიკოსების ნაწილმა პუტინს ღია წერილით მიმართა.

ექიმები მოითხოვენ, რომ ნავალნის აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გედი ბრიტანული ქალაქის მცხოვრებლებს ატერორებს

ბრიტანეთის ქალაქ ნორთჰემპტონის მცხოვრებლებს გედი ატერორებს. ის უკვე ხუთი წელია ადგილობრივებს კარზე უკაკუნებს, რაც გამაღიზიანებლად მოქმედებს მობინადრეებზე.

ზოგიერთი მოქალაქე ყვება, რომ ფრინველს შეუძლია სამი საათის განმავლობაში შეუჩერებლად აკაკუნოს კარზე. ამასთან, არავინ იცის, გედი ამას რატომ აკეთებს.

– ის იწყებს იმით, რომ არბევს საფოსტო ყუთს, შემდეგ კი ნისკარტს, რაც შეიძლება ძლიერად ურტყამს ლითონს. მისი ხმა მთელ სახლში ისმის. თავად ეს დამაზიანებელი არ არის, მაგრამ საშინლად გამაღიზიანებელია, – განაცხადა ქალაქის მკვიდრმა სტივენ ლეგმა.

მისივე თქმით, ის ფრინველს საკვებს არ უყრის და სწორედ ამის გამო ვერ აუხსნია, თუ რატომ იზიდავს გედს კარზე დაკაკუნება. ის მის დაშინებას და საფოსტო ყუთის დახურვასაც შეეცადა, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო. იგივე ჩივილები აქვთ ქალაქის სხვა მცხოვრებლებსაც.

მამაკაცი ქორწილიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა

დიდ ბრიტანეთში უელსის დედაქალაქ კარდიფში მამაკაცი, რომელმაც საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში იქორწინა, რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

2020 წლის ბოლოს 30 წლის ჯერი კოლინამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ლოყა გაუსივდა. უელსში გადაბარგებულმა ფილიპინელმა ჩათვალა, რომ მას კბილებზე ჰქონდა პრობლემა და ამისთვის კბილის ექიმს მიმართა. მთელი რიგი გამოკვლევების შემდეგ, მას აგრესიული ავთვისებიანი სიმსივნე – მელანომა დაუდგინეს.

კოლინმა მიმდინარე წლის იანვრიდან დაიწყო ამბულატორიული იმუნოთერაპიის კურსის გავლა, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებოდა. მარტში მამაკაცი საავადმყოფოში მოათავსეს. მალევე მის შეყვარებულს ენდრიუ გოდფრის დაურეკეს და აცნობეს, რომ პაციენტს ფილტვებში მეტასტაზები აღმოუჩინეს და ის მალე მოკვდებოდა.

ამის გამო შეყვარებულებმა გადაწყვიტეს ოცნება აესრულებინათ და დაქორწინებულიყვნენ. გოდფრის მათი ურთიერთობის დაკანონება სურდა, მაგრამ ვინაიდან საბუთების გაფორმებისთვის დრო არ რჩებოდა, წყვილმა უბრალოდ საქორწინო ცერემონიალი საავადმყოფოს კაპელანის მონაწილეობით ჩაატარა. ცერემონიას ესწრებოდნენ პაციენტის მშობლები და და.

საქორწინო ცერემონიიდან რამდენიმე საათში კოლინა გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ძალიან მიყვარხართ, ბიჭებო“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარაკონის ეკლესიას დროული კონსერვაცია-გამაგრება სჭირდება



რაჭაში მდებარე უძველეს ქართულ ეკლესიას – ბარაკონის ტაძარს დროული კონსერვაცია-გამაგრება ესაჭიროება.

ბარაკონი ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლია რაჭაში.

დეკანოზი **ილია ჭიღლაძე:**

– ბარაკონის ეკლესიის ტიმპანის ქვის დიდებული წარწერა აფხაზეთის კათოლიკოს ბესარიონ ერისთავისა დაბზარულია და ნაწილობრივ დამტვრეული.

ერთი ფრაგმენტი ჩამოვარდნის პირზეა, სჭირდება დროული კონსერვაცია-გამაგრება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გიორგი გასვიანმა თეატრალური აკადემია გახსნა

ტელეწამყვანმა გიორგი გასვიანმა ჟურნალისტ მაკა რაზმაძესა და დიზაინერ ეკა მგალობლიშვილთან ერთად თეატრალური და ტელე-ჟურნალისტიკის აკადემია გახსნა.

მათთან მსურველები 5 წლიდან მიიღება და ასაკი შეუზღუდავია. იდეის ავტორების გადაწყვეტილებით, შეიქმნება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები და შეისწავლება სასცენო და ეკრანული მეტყველება, მსახიობის ოსტატობა, მხატვრული კითხვა, სასცენო პლასტიკა, კამერასთან მუშაობა, პრაქტიკული ჟურნალისტიკა, სოციალური მედია. აკადემიის წევრები მონაწილეობას მიიღებენ სპექტაკლებში, ფილმებსა და სხვადასხვა ტიპის გადაცემებში. მოეცემათ შესაძლებლობა შეხვდნენ ცნობილ მსახიობებს, ჟურნალისტებსა და ტელეწამყვანებს.

ნოე სულაბერიძე ახალ გადაცემას იწყებს

ტელეკომპანია „იმედზე“ 4 აპრილიდან პროდიუსერი და „პრაიმ შოუს“ წამყვანი ნოე სულაბერიძე ახალ გადაცემას იწყებს.

„ერთი ერთზე“ – ასე ჰქვია პროექტს, რომლის სტუმრებიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები იქნებიან. ისინი მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებზე ისაუბრებენ.

ნოეს გადაცემის პირველი სტუმარი მაია ასათიანი იქნება.

სესილი სივსივაძემ ვარშავის კონკურსში პირველი ადგილი მოიპოვა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ საფორტეპიანო განყოფილების მეორე კლასის მოსწავლემ სესილი სივსივაძემ ვარშავის საერთაშორისო მუსიკალურ ონლაინ კონკურსზე პირველი ხარისხის ჯილდო მოიპოვა.

სესილი ნანა ახობაძის მოსწავლეა. პატარა პიანისტმა საერთაშორისო კონკურსში სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეებს პირველობა არ დაუთმო და საუკეთესო სრულიად დამსახურებულად გახდა.

30 წლის წინ გატაცებულ ქალს სამშობლოში დასაბრუნებლად პანდემია დაეხმარა

პატარა ასაკში გატაცებული ვიეტნამელი პანდემიის წყალობით გაიქცა, თავი დააღწია 30-წლიან სექსუალურ მონობას ჩინეთში და სამშობლოში დაბრუნდა.

როდესაც ხა ტხი ჩინი 12 წლის იყო, ის შემთხვევითმა ნაცნობმა მოატყუა. ის მან ჩინეთში მიიწვია და ოჯახს მიჰყიდა, როგორც კი საზღვარი გადალახეს.

– ისინი ღამით მეძავად მუშაობას მაიძულებდნენ. ეს ძალიან დამამცირებელი იყო. ბევრჯერ ვცადე გაქცევა, მაგრამ ყურადღებით მიცავდნენ, ამიტომ გაქცევის ვერც ერთი მცდელობა წარმატებით ვერ დასრულდა. ისინი მიჭერდნენ და მათრახით მცემდნენ, – აღიარა ჩინმა, რომლისთვისაც სახლში დაბრუნება აუხდენელ ოცნებად რჩებოდა.

2020 წლის დასაწყისში ჩინეთში დაწყებული კორონავირუსის პანდემიის წყალობით, ქალმა გაქცევა და სამშობლოში დაბრუნება მოახერხა.

– ჩვენ, კიდევ ერთ ვიეტნამელ გოგონასთან ერთად, პროვინცია ნინბინიდან, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ გაყიდეს ჩინეთში, გაქცევა მოვახერხეთ. თავიდან მეშინოდა, მაგრამ მან დამარწმუნა, მითხრა, რომ მაინც დავიღუპებოდით და ერჩივნა სახლში დაბრუნების მცდელობისას დაღუპულიყო, – ყვება ვიეტნამელი. ისინი ხუთი დღე ტყეში მიიკვლევდნენ გზას და ვიეტნამის საზღვრამდე მიაღწიეს.

მესაზღვრეებმა ჩინს საჭმელი და ცოტა ფული მისცეს და ავტობუსის გაჩერებამდე მიიყვანეს, რათა მშობლიურ პროვინცია ფუტხოში დაბრუნებულიყო. თუმცა ჩინეთში გატარებული 30 წლის განმავლობაში, მას მშობლიური ენა ნაწილობრივ დავიწყებული ჰქონდა და პროვინცია კუანგნამში გზაკვალი აერია.

პოლიციელებმა ქალის იდენტიფიცირება მოახერხეს და სახლში დაბრუნებაში დაეხმარნენ. მამამისმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, როდესაც სახლში დაბრუნებული შვილი დაინახა. ჩინმა ხელმეორედ დაიწყო მშობლიური ენის შესწავლა, მშობლებთან ერთად ქათმებს და კამეჩებს უვლის და შემდგომში სამსახურის შოვნას გეგმავს

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლევან სონღულაშვილი: „არ მსურს, გული ამიცრუვდეს ქვეყანაზე“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ამერიკაში მრავალწლიანმა ცხოვრებამ არამც თუ შეამცირა სამშობლოსთან ჩემი კავშირი, არამედ მასთან დისტანცირებამ უკეთ დამანახა მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები... მოტივაცია მაქვს, რომ კულტურული პროექტები, დასავლეთთან ერთად, საქართველოში განვახორციელო და ყოველწლიურად, გარკვეული დრო სწორედ სამშობლოში დავყო.

არ მსურს, ჩემი მეგობრების ნაწილის მსგავსად, რომლებიც ევროპასა და ამერიკაში გადასახლდნენ, გული ამიცრუვდეს ქვეყანაზე, სადაც საზოგადოება პოლიტიკოსთა მანიპულაციების მსხვერპლად იქცა და სასიცოცხლო ენერგიას ურთიერთდაპირისპირებაში ხარჯავს; სადაც სახელმწიფო ინტერესი ოპოზიციური პარტიებისა თუ სახელისუფლებო კარის თამაშებს ეწირება, როცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, განათლების, ეკონომიკისა თუ კულტურული განვითარების პრობლემების წინაშე ვდგავართ, რასაც მსოფლიო პანდემია ერთვის.

იმედს ვიტოვებ, რომ ამჯერად, ბატონ დანიელსონს დასავლური ცივილიზაციისთვის შესაფერის პასუხით გააცილებენ ევროპაში, რომლის ღირსეული ნაწილიც აუცილებლად უნდა გახდეს საქართველო.

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

სანიოლმა მამაც ქართველებს თავისი ხელი დაატყო

საქართველოს ნაკრებში მთავარი მწვრთნელის რანგში ფრანგი ვილი სანიოლის დებიუტს მის სამშობლოში პოპულარულმა გაზეთმა „ფიგარომ“ წერილი მიუძღვნა:

„ვილი სანიოლმა საქართველოს ნაკრები გასულ თვეში ჩაიბარა, მისი ტრანსფორმირება მოახდინა და კვირას ესპანეთთან გმირობასთან (1:2) ახლოს იყო.

სანიოლი სულ ახლოს გახლდათ თავის პირველ წარმატებასთან. მისმა გუნდმა შვედეთთან დამარცხებიდან (0:1) სამ დღეში უკეთ ითამაშა და წაგებას არ იმსახურებდა. „ბორდოს“ ყოფილმა თავკაცმა მოულოდნელი დანიშვნის შემდეგ კავკასიურ გუნდს თავისი ხელი დაატყო.

მამაც ქართველებთან მატჩის პირველი ტაიმის მერე „ლა როხას“ მწვრთნელმა ლუის ენრიკემ ესპანეთის ტელევიზიასთან აღიარა, რომ კინაღამ ინფარქტი მიიღო. მიზეზი ბურთის უნაყოფო ფლობა (72%) გახლდათ. იბერიელებმა თავდაცვითი სოლიდური ზღუდე ააგეს, რომლის გადალახვა მეტოქემ ვერ შეძლო. ისევე, როგორც შვედეთში, სადაც ზლატან იბრაჰიმოვიჩს გასაქანი არ მისცეს, „ჯვაროსნებმა“ კარგად ორგანიზებულად ითამაშეს და ლუის ენრიკეს ექსპერიმენტი (შემადგენლობის როტაცია) ეჭვქვეშ დააყენეს. მათ მხარს აქტიურად უჭერდა 18 ათასი მაყურებელი. შესვენებაზე გასვლის წინ ხვიჩა კვარაცხელიამ უნაი სიმონი დაამწუხრა და ანგარიში გახსნა.

„რუბინის“ მარცხენა გარემარბმა მთელი მატჩის განმავლობაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდად იმედისმომცემმა ახალგაზრდა შემტევმა ჩრდილოეთ მაკედონიასთან მარცხის (0:1) შემდეგ თავისი ახალი თაობის პერსპექტიულობა წარმოაჩინა.

სანიოლმა თავიდანვე სწორედ ამ ახალგაზრდა გვარდიაზე დაყრდნობის განზრახვა გაახმოვანა, რომელსაც კაპიტანი ჯაბა კანკავა (35 წლის, 97 მატჩი ნაკრებში) წინამძღოლობს. ის ადრე „რეიმსში“ თამაშობდა, ახლა კი „ვალანსიენში“ ასპარეზობს. ვილიმ გუნდში 20 წლის თავდამსხმელ გიორგი მიქაუტაძეს უხმო, რომელიც „მეცის“ საკუთრებაა.

– საშუალოვადიან პერსპექტივაზე მუშაობა ფეხბურთში, ცოტა არ იყოს, ფუფუნებაა, – განაცხადა სანიოლმა.

საფრანგეთის ეროვნული გუნდის ექსფეხბურთელი ფიფას რეიტინგში 89-ე ადგილზე მყოფი ნაკრების პროექტს მშენებლის რანგში ჩაუდგა სათავეში და გულშემატკივრებს დაჰპირდა: „დარწმუნებული ვარ, ჩვენ ქართული ფეხბურთის ისტორიის ახალ ფურცელს დავწერთ“.

ძველი ბავარიელი, როგორც ჩანს, სწორ გზას ადგას“.

ახალგაზრდული ნაკრები მოსამზადებელ ეტაპს მოგებით იწყებს

საქართველო-ბელარუსი 4:1

საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა ახალი მთავარი მწვრთნელის, რამაზ სვანაძის, ხელმძღვანელობით პირველი მატჩი ჩაატარა და ბელარუსი თანატოლები 4:1 დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ 2023 წელს საქართველო და რუმინეთი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებენ. შედეგად, ორივე გუნდს ავტომატურად განაღდებული აქვს იქ მოხვედრა. თუმცა, საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხსნილები არიან და მხოლოდ ამხანაგური თამაშებით შემოიფარგლებიან.

რამაზ სვანიძემ რეპეტიცია ბელარუსთან თამაშით დაიწყო და გუნდმა საკმაოდ კარგი ფეხბურთი აჩვენა.

გორის „თენგიზ ბურჯანაძის“ სახელობის სტადიონზე გამართული მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, რასაც მალევე გიორგი გულიაშვილის პირველი გოლი მოჰყვა, რომელიც საბურთალოს ფორვარდმა შორი მანძილიდან ეფექტური დარტყმით გაიტანა.

გულიაშვილის გოლიდან 8 წუთში, სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. მეორე ტაიმის დაწყებიდან მალევე წინ გავედით – კუთხურის შემდეგ სუპრიანუმ ბურთი საკუთარ კარში შეაგდო.

სხვაობა ორამდე ისევ გიორგი გულიაშვილმა გაზარდა, რომელმაც 21-წლამდე ნაკრების მაისურით, კარიერაში მე-3 გოლის გატანა შეძლო. საბოლოო ანგარიში, შეცვლაზე შემოსულმა გელა შეყილაძემ 84-ე წუთზე დაფიქსირა – 4:1.

რამაზ სვანაძის გუნდი მომდევნო საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს შემოდგომაზე – რუმინეთის და ინგლისის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ გამართავს.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბელარუსთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მეგრელიშვილი, ხვადაგიანი (მჭედლიშვილი 80), გიგაშვილი (ნონიკაშვილი 46), კალანდაძე, გოჩოლეიშვილი, დარცმელია (შეყილაძე 62), მექვაბიშვილი, ხარაიშვილი (შარვაშიძე 79), გულიაშვილი (მესიაჩენკო 85), მოისწრაფიშვილი, იაკობიძე (გაგნიძე 62).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გოგა ბითაძემ 7 წუთში 8 ქულა ჩააგდო

30 მარტს, „ვაშინგტონ ვიზარდსმა“ „ინდიანა პეისერსს“ უმასპინძლა და 132:124 დაამარცხა.

„პეისერსის“ შემადგენლობაში მცირედი დროით, თუმცა შედეგიანი თამაშით გამოირჩა გოგა ბითაძე. ქართველმა მოედანზე 7:03 წუთი დაჰყო და 8 ქულა, 1 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა და ამდენივე დაფარება დააგროვა.

გოგამ 3 ნასროლი ბურთიდან 3-ვე გამოიყენა, ხოლო საჯარიმო ხაზიდან 2 მცდელობიდან 1 ჩააგდო.

„ინდიანას“ რიგებში საუკეთესო დომანტას საბონისი გახლდათ, რომელმაც თავი 35 ქულით, 11 მოხსნით, 6 შედეგიანი გადაცემითა და 2 ჩაჭრით გამოიჩინა.

ლამპარდი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი შეიძლება გახდეს



„ჩელსის“ ყოფილი დამრიგებელი, ფრენკ ლამპარდი, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი გახდა.

ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცს, ეიდი ბუტროიდს, მალე გაათავისუფლებენ, რადგან მისი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ლომებმა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჯგუფში პირველი ორი მატჩი წააგეს – შვეიცარიასთან (0:1) და პორტუგალიასთან (0:2).

ლამპარდი, რომელიც „ჩელსიდან“ გათავისუფლების შემდეგ უმუშევრადაა, ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი გახდა.

ლევანდოვსკიმ ტრავმა მიიღო

პოლონეთის ნაკრებისა და „ბაიერნის“ ვარსკვლავი მიუნხენში გაემგზავრა, რათა მუხლის ტრავმის რეაბილიტაცია დაიწყოს.

თავდამსხმელმა ზემოხსენებული დაზიანება მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაპირისპირებაში მიიღო, სადაც მისმა ნაკრებმა ანდორა 3:0 დაამარცხა, თვითონ ლევანდოვსკიმ კი მეტოქის კარი 2-ჯერ აიღო.

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე დაადასტურა, რომ რობერტი ოთხშაბათს ინგლისთან გასამართ შეხვედრას გამოტოვებს.

32 წლის ფორვარდი გერმანიაში რეაბილიტაციისთვის დაბრუნდა, რომლის გასავლელადაც 5-დან 10 დღემდეა საჭირო. ეს სამწუხარო სიახლე „რეკორდმაისტერის“ მთავარ მწვრთნელს, ჰანსი ფლიკს ძალიან აშინებს, რადგან ბუნდესლიგის ლიდერს აპრილის დასაწყისში საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი შეხვედრები ელოდება.

„ბაიერნი“ 3 აპრილს „ლაიპციგს“ დაუპირისპირება, ხოლო 7 აპრილს „ალიანს არენაზე“, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე, „პარი სენ ჟერმენს“ უმასპინძლებს.

გერმანიის ჩემპიონები იმედოვნებენ, რომ სუპერპოლონელი 13 აპრილს ფრანგულ გიგანტთან განმეორებითი შეხვედრისთვის უკვე მზად იქნება.

ლევანდოვსკიმ მიმდინარე სეზონში „ბაიერნთან“ ერთად მონაწილეობა 36 შეხვედრაში მიიღო, თავი კი 42 გოლითა და 8 შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა.

აგუერო „სიტის“ ზაფხულში დატოვებს

ინგლისურ „მანჩესტერ სიტის“ სერხიო აგუერო ზაფხულში დატოვებს. არგენტინელ ფორვარდს კონტრაქტი 30 ივნისს ეწურება და უკვე გადაწყდა, რომ ის არ განახლდება.

„სიტიმ“ საკუთარ ვებგვერდზე ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ კლუბი ლეგენდას ღირსეულად და ემოციურად დაემშვიდობება. აგუერომ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მისთვის პატივი და საამაყო იყო 10 წელი „სიტიში“ თამაში.

არგენტინელი ფეხბურთელი მანჩესტერელებმა 2011 წელს „ატლეტიკოდან“ დაიმატეს და მას შემდეგ მან კლუბის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. 4-ჯერ ინგლისის ჩემპიონი გახდა და 5-5-ჯერ ინგლისის ასოციაციისა და ლიგის თასი მოიგო.

აგუერო „მანჩესტერ სიტის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია 384 შეხვედრაში 257 გოლით. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს აგუერო კარიერას.

მას ყველაზე ხშირად „ბარსელონას“, „ინტერსა“ და „იუვენტუსს“ უკავშირებენ.

ხვიჩა კვარაცხელია ბაიერნში?

ესპანელებთან ჩინებულად თამაშისა და გატანილი გოლის შემდეგ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ხვიჩა კვარაცხელია დასავლური გამოცემების ყურადღების ცენტრში მოექცა. ჩვენებურის შესახებ წერილი გერმანულმა სპორტ 1-მა გამოაქვეყნა.

გამოცემა წერს, რომ ქართველებს ბუნდესლიგაში ხანგრძლივი და წარმატებული ტრადიცია გააჩნიათ. 90-იან წლებში „ფრაიბურგში“ ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი თამაშობდნენ. მას შემდეგ გერმანიაში მათ არც ერთ თანამემამულეს არ უასპარეზია, თუმცა ეს შეიძლება მალე შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს კვარაცხელიას აგენტი მამუკა ჯუღელი, რომელიც კვარაცხელიას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

– მე დარწმუნებული ვარ, „რეალში“ ან „ბაიერნში“ მოხვდება, – ესპანეთთან ნამატჩევს ჯუღელს „ესტადიო დეპორტივო“ ციტირებს.

საბოლოოდ აუტსაიდერმა 1:2 მარცხი განიცადა, მაგრამ კვარაცხელიამ ისევ მიიქცია ყურადღება. 20 წლის გარემარბი კონტრაქტით „რუბინთანაა“ დაკავშირებული, ძირითადად, მარცხენა ფრთაზე ირჯება, თუმცა მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში; რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატზე 20 მატჩში 3 გოლი გაიტანა და 8 საგოლე გადაცემა გააკეთა, ზაფხულში კი, სავარაუდოდ, გუნდს გამოიცვლის.

ნებისმიერ შემთხვევაში, მისი აგენტი ამას შეეცდება.

ხვიჩა კვარაცხელიათი „სევილიაც“ შეიძლება დაინტერესდეს.

ესპანური პრესა წერს, რომ ანდალუსიელთა პრიორიტეტი „ალკმაარის“ ფორვარდის მაირონ ბოადუს შეძენა იქნება, მაგრამ თუ „სანჩეს პისხუანის“ ბინადრებმა ნიდერლანდელი თავდამსხმელი ვერ დაიმატეს, ისინი ხვიჩა კვარაცხელიას გადაბირებას შეეცდებიან.

ბოადუსაც და ქართველსაც არაერთი მსურველი ჰყავს და მოვლენების განვითარება მართლაც საინტერესო იქნება.

„სევილიას“ ინტერესი კვარაცხელიას აგენტმა მამუკა ჯუღელმაც დაადასტურა.

– ხვიჩაზე ჯერ „სევილია“ ოფიციალურად არ გამოსულა, ის „რუბინის“ მოთამაშეა. თუმცა, გასაგებია, ხვიჩა ადრე თუ გვიან რუსეთის ჩემპიონატს დატოვებს, მაგრამ

ამისათვის სერიოზული წინადადება უნდა იყოს. ჩვენ ჯერ დაველოდებით, არსად გვეჩქარება. „რუბინში“ მას ყველაფერი აწყობს, ვითარდება და პროგრესირებს.

ესპანელებთან გოლი? გოლი, როგორც გოლი, მაგრამ ეს ძალიან კარგია. ეს მისთვის დიდი სტიმულია, ყოველდღე კი არ უტან ესპანელებს. უცბად დაივიწყებს ამ გოლს და შეუპოვრად გააგრძელებს მუშაობას, რათა უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელი გახდეს, – განაცხადა მან.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 2. სამრეწველო საწარმო; 3. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 4. ესპანური სპორტული გაზეთი; 5. ლომების ჯოგი; 11. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, მონოლოგი; 12. პოპულარული ზამთრის კურორტი შვეიცარიაში; 14. მოთელილი მატყლისგან დამზადებული სქელი ქსოვილი; 16. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 17. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კვიპროსის დედაქალაქი; 21. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 22. აღმოსავლური ტკბილეული.

თარაზულად: 6. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 7. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 8. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 9. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 10. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 13. ძველებური კაჟიანი თოფი; 15. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 18. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 20. უბანი თბილისში; 21. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 23. საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნი; 24. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იედო; 2. არა; 3. ალარმისტი; 4. კიაზო; 5. გაუტამა; 8. სვია; 9. ჰიპნოზი; 10. გენეტიკა; 12. წულაძე; 13. ვარჯი; 15. მეოხი.

თარაზულად: 1. იდიოტი; 6. გლიპტიკა; 7. დასტა; 10. გერბი; 11. ხიხვი; 13. კონტე; 14. ზუმხა; 16. არგო; 17. იქთიოლი; 18. საცივი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პომოლოგია; 2. მუხიანი; 3. ჯაკუზი; 4. ბურგი; 5. არაგვი; 11. სტამპა; 12. ბატუტი; 14. წუღა; 16. რუსთავი; 17. მალხაზი; 19. სიმენსი; 21. მარში; 22. ფარჩა.

თარაზულად: 6. მოლეკულა; 7. ლაუდერი; 8. გრიგი; 9. ელეგია; 10. ზაქსი; 13. წიაწა; 15. არითმეტიკა; 18. მანტისა; 20. ალბა; 21. მანათი; 23. პინკერტონი; 24. ზედაშე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3846

ევრო — 3.9840

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6806

100 რუსული რუბლი — 4.4519

ამინდის პროგნოზი 31 მარტისათვის

ტიერი ანრიმ ტვიტერი გააუქმა



მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ ტიერი ანრიმ ტვიტერი გააუქმა და ამის მიზეზად მის მიმართ ხშირად დაწერილი შეურაცხმყოფელი ტვიტები დაასახელა.

ანრიმ განაცხადა, რომ მას რასისტულ ნიადაგზეც აყენებდნენ შეურაცხყოფას და ეს ბოლო წვეთი იყო:

„როდესაც სრულიად უცნობი ადამიანები კლავიატურას არიან ამოფარებულები და შენს ოჯახს, ასევე კანის ფერს უდიერად იხსენიებენ, ამის მოთმენა არ მინდა, ამიტომ ტვიტერს ვაუქმებ“.

ბეილი: „მინდა, რომ რეალში დავბრუნდე“



ლონდონის ტოტენჰემის უელსელმა ფორვარდმა გარეტ ბეილმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას რეალში სურს დაბრუნება.

ბეილის აზრით, მას რეალში ტიტულების მოგების უკეთესი შანსი ექნება:

– ტოტენჰემში კარგი სეზონი მაქვს, თუმცა ტრავმებმა ისევ ხელი შემიშალა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, რომ ზაფხულში რეალში დავბრუნდები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ცოცხლად დამარხულმა ექიმბაშმა პირობა დადო, რომ აღდგებოდა, მაგრამ დაიღუპა

ზამბიაში 22 წლის ექიმბაშმა ჯეიმს საკალამ მისი ცოცხლად დამარხვა მოითხოვა. ის თვლიდა, რომ აღორძინდებოდა, მაგრამ ეს არ მომხდარა.

თავდაპირველად ღვთისმსახური და ადგილობრივი სიონის ეკლესიის მრევლი უარს აცხადებდა ცოცხლად დამარხვაში მონაწილეობაში, მაგრამ საკალა არ ჩერდებოდა. მან თავად მოიტანა ნიჩაბი და თავად ამოთხარა საფლავი, შემდეგ კი შიგნით ჩახტა, ხოლო იქ შეკრებილებს დაჰპირდა, რომ ისინი მალე მისი აღდგომის მომსწრენი გახდებოდნენ.

ამჯერად რამდენიმე ადამიანი დათანხმდა, მის დასაფლავებაში მიეღო მონაწილეობა. მათ საფლავში ჩაწოლილ საკალას მიწა დააყარეს და სასწაულს დაელოდნენ. როდესაც უჩვეულო არაფერი მოხდა. იქ მყოფებმა სიმღერა დაიწყეს იმ იმედით, რომ ექიმბაშის აღდგომას დააჩქარებდნენ. როდესაც ვერც ამან გამოიღო შედეგი, მათ გადაწყვიტეს ექიმბაში ამოეთხარათ, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა, საკალა გაიგუდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

31 მარტისათვის

ვერძი – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. ** კურო** – შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. შრომა გიფასდებათ. ბედს არ ემდურით. **ტყუპები** – აგრესიულობა და თავშეუკავებლობა მატერიალურად დაგაზარალებთ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნუ გამოჩნდებით. **კირჩხიბი** – მეგობრებისგან დახმარება გჭირდებათ. თავს ზედმეტად ნუ დაიფასებთ. **ლომი** – ინფორმაციის არასათანადო შეფასება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას სიფხიზლე გმართებთ. პატარა შეცდომაც კი სავალალო იქნება. **სასწორი** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალი იდეების განხორციელება მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. ენერგიულობისა და ოპტიმიზმის წყალობით საქმეებს თავს წარმატებით გაართმევთ. **მშვილდოსანი** – ახალგაცნობილ ადამიანებს გულისნადებს ნუ გაუმხელთ. იკვებეთ ჯანსაღად. **თხის რქა** – საყვარელ ადამიანს გულს ნუ ატკენთ. თავქარიანობა და ფუქსავატობა საქმეს გაგიფუჭებთ. **მერწყული** – საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფთა ინტერესებიც. **თევზები** – ოცნების კოშკებს ნუ ააგებთ. რეალური საქმით დაკავდით. ჯანმრთელობას მიხედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მე მეორე რიგის ვეგეტარიანელი ვარ!

– ეგ როგორ?

– როგორ და ძროხა ხომ ჭამს ბალახს?

– კი.

– ჰოდა, მე ვჭამ ძროხას...

●●●

გივის ნათესავი ეკითხება:

– როგორ და რატომ დაანებე თავი დალევას?

– როგორ და, ერთ დღესაც თვალი გადავავლე ყველაფერ იმას, რაც ირგვლივ ხდება და მივხვდი, რომ ამდენის დალევას ნამდვილად ვერ შევძლებდი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, შენ მეზობელ გიგის ქალების რიგი უდგას და რა ხდება?

– ბიჭო, ვიღაცამ მის კარზე სამი ასო დააწერა, მან კი ადგა და წინ მიუწერა სიტყვა „დიდი“...

●●●

ზოოლოგიის გაკვეთილზე მასწავლებელი კითხვას სვამს:

– ბავშვებო, აქ თქვენ ხედავთ, რომ ნიანგმა კვერცხები დადო... ვინ მიპასუხებს რატომ?

გიგი:

– დაბერდა... აღარ სჭირდება და იმიტომ...

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– ახლა მე თქვენ გამოგიწერთ წამალს, რომელსაც დღეში ოთხჯერ ჭამის შემდეგ მიიღებთ.

– ექიმო, მაგდენი საჭმელი რომ მქონოდა, თქვენთან რა მინდოდა.

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ეს ფასიანი ოპერაცია აუცილებელია?

– რა თქმა უნდა. აბა თავად იფიქრეთ, ამ ოპერაციის გარეშე მთებში თხილამურებით სრიალი შესაძლებელი იქნება?

– ექიმო, არ მჭირდება არც თხილამურები და არც მთებში სრიალი.

– საუბარი თქვენზე არ არის.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– შენ ფეხსაცმელს ოდესმე წმენდ?

– რა თქმა უნდა, ვწმენდ, როდესაც უფროსის დაბადების დღეზე მივდივარ.

– ანუ, წელიწადში ერთხელ.

– რა ჩემი ბრალია, თუ წელიწადში ერთხელ აქვს დაბადების დღე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლანა ღოღობერიძე ლიტერატურის ოფიცრის ორდენით დაჯილდოვდა

რეჟისორი ლანა ღოღობერიძე საფრანგეთის ელჩმა საქართველოში დიეგო კოლასმა ფრანგულ და ქართულ კულტურაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის, საფრანგეთის კულტურისა და კომუნიკაციების სამინისტროს ხელოვნებისა და ლიტერატურის ოფიცრის ორდენით დააჯილდოვა.

ქართველი კინორეჟისორის, დიპლომატის, მხატვრის, მთარგმნელის, პუბლიცისტისა და საქართველოს სახალხო არტისტის, ლანა ღოღობერიძის ფილმები არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია. ის არის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიის, ვენეციის, ბერლინის, ტოკიოს, სან-რემოსა და სხვა კინოფესტივალების პრემიების ლაურეატი. ნათარგმნი აქვს უოლტ უიტმენის, თაგორის, ვერლენის, ახმატოვასა და პასტერნაკის ლექსები. 2018 წელს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ხათუნა ჟორდანია საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს წინააღმდეგ

მომღერალი ხათუნა ჟორდანია საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს უპირისპირდება და მათგან ცრუ ინფორმაციის დოკუმენტურად დასაბუთებას ითხოვს:

– საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო – სერიოზული ორგანიზაცია მეგონეთ და ჩვეულებრივი თაღლითები და ცრუპენტელები ყოფილხართ!

უხსოვარ დროში დარეგისტრირებული ორგანიზაციები, რომლებსაც არასდროს უფუნქციონირებია და რომლის არსებობაც აღარც კი მახსოვდა, თქვენ XXI საუკუნეში გააცოცხლეთ, როგორც მოქმედი ბიზნესი და არც კი გადააამოწმეთ, ოდესმე რამე შემოსავალი თუ ჰქონია ამ კომპანიებს.

კატეგორიულად მოვითხოვ, თქვენ მიერ ტირაჟირებული ცრუ ინფორმაცია დოკუმენტურად დაასაბუთოთ! დაამტკიცეთ, რომ მე მაქვს მოქმედი ბიზნესი და, შესაბამისად, შემოსავალი ამ კომპანიებიდან.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგიწევთ კანონით პასუხისგება ან საჯარო ბოდიში!

დირიჟორი ვადიმ შუბლაძე გარდაიცვალა

დირიჟორი ვადიმ შუბლაძე 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა:

– გარდაიცვალა დირიჟორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვადიმ შუბლაძე.

სხვადასხვა წლებში იგი იყო საქართველოს რადიოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი, ერევნის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი, მოსკოვის დიდი სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი.

ვადიმ შუბლაძეს პირველ აპრილს დაკრძალავენ.

ლევან სონღულაშვილი: „არ მსურს, გული ამიცრუვდეს ქვეყანაზე“

მხატვარი ლევან სონღულაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს და ეს თითოეულმა მოქალაქემ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს:

– დიდი იმედი მაქვს, რომ დღევანდელ სიტუაციაში, საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები სახელმწიფოსთვის სასარგებლო ნაბიჯს გადადგამენ და გარკვეულ კომპრომისზე წავლენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ევროპასთან და თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციასთან დაახლოების აუცილებელ პროცესს მრავალი წლით ჩამორჩება და მოსახლეობას ერთ წვენში ხარშვა მოუწევს, საიდანაც განმეორებით თავის აღწევის მცდელობა მეტ ინტელექტს, დროს და ენერგიას მოითხოვს, რასაც თაობები შეეწირებიან.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 2. დანალექი, შლამი ტბის, მდინარის ფსკერზე; 3. ოსური ხაჭაპური; 4. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 5. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 9. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 10. ბადაგისა და ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 12. ურწმუნო, უღმერთო ადამიანი; 13. ხორცის შესაწვავი, მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 15. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

თარაზულად: 1. აშშ-ის პრეზიდენტი; 6. კომუნიკაციის საშუალებათა – ჟურნალი, გაზეთი, ტელევიზია და რადიოს საერთო სახელწოდება; 7. მდინარე რომში; 10. ცბიერი, გაიძვერა ადამიანი; 11. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 13. პროფესიონალი გამრთობი ქალი იაპონიის საჩაიეებში; 14. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 16. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. მიწის თხილი; 18. ქართული რადიო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა